პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

შაბათი, 27 ივნისი 1936 წ. № 147 (4606)

სსრ კავშირში ქალს ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლება სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ქალთა ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დედისა და ბავშვის ინტერესთა სახელმწიფო დაცვისა, ორსულობის დროს ქალისათვის შვებულებათა მინიჭებითა და ჯამაგირის შენახვით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან.

საბჭოთა უმაღლესი სკოლა

საბჭოთა კავშირში წარმოების, მეცნიერების თუ ხელოვნების ყოველი დარგი მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანი უკეთ ცხოვრობდეს, უფრო მხიარულად ცხოვრობდეს. მილიონობით საბჭოთა ადამიანების შრომა, მათი მგზნებარე ბრძოლა ხვალინდელი დღის სიხარულისათვის ჰქმნიდა და ჰქმნის უდიდეს მატერიალურ და კულტურულ ღირებულებებს. კაცობრიობის ისტორიაში ეს ღირებულებანი პირველად გახდნენ არა ექსპლოატატორთა ცალკეული ჯგუფების, არამედ მთელი ხალხის, სოციალისტური სამშობლოს ყველა მოქალაქის კუთვნილება.

მუშათა, კოლმეურნეთა, მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიასა და ინიციატივას დღითი-დღე ახალი გაქანება ეძლევა. ეს თვისებანი, მეცნიერული მიღწევებით განმტკიცებულნი, — საბჭოთა ხალხის საგანძურია. ჩვენი ქვეყნის უდიდესი მშენებლობა ყოველდღე მოითხოვს ახალ და ახალ განათლებულ, მაღალკულტურულ ადამიანებს შრომის ყოველ უბანზე, ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა, შემოქმედებითი აზროვნება, რომელთაც შეუძლიათ დიდი თეორიული ცოდნის შეხამება საწარმოო გამოცდილებასთან.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სახალხო განათლებას და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა აღზრდას.

ასეთი კადრების მომზადებაზე ზრუნვის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 24 ივნისს გამოქვეყნებული დადგენილება უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობისა და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ. კოლოსალურია ამ დადგენილების მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ორგანიზაცია მრავალრიცხოვან შეცდომათა და ნაკლთა ლიკვიდაციისათვის უმაღლეს სკოლაში, საბჭოთა სტუდენტობის ყოფა-ცხოვრებაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. სთვლიან, „რომ უმაღლეს სკოლაში კადრების მომზადების მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია". 591 უმაღლესი სასწავლებლიდან, რომლებიც სსრ კავშირში არსებობენ, ცოტას შეუძლია დაიკვეხოს მეცნიერ-პედაგოგთა კადრების კარგი შერჩევა, სასწავლო პროგრამების მოთხოვნებთან სრული შეფარდებით მოწყობილი კარგი ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები და კაბინეტები. ხოლო თვით პროგრამები? უმაღლეს სასწავლებელთა რომელი მუშაკი გნებავთ, რომ არ სცვლიდა, არ ართულებდა, არ ავულგარებდა მათ? სასწავლო მუშაობის ამ დარგში პირდაპირ თვითნებობა სუფევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა უკანასკნელ კურსზე არ იცოდნენ საკუთარი პროფილი, ე. ი. არ იცოდნენ, სახელდობრ რა სპეციალობის მიხედვით მოუხდებოდათ მუშაობა ახლო მომავალში.

ყოველგვარმა „მომემარცხენო" თეორიებმა და თეორიკოსებმა, რომლებმაც საბჭოთა სკოლას დიდძალი ზიანი მიაყენეს, თავისი გამოხატულება ჰპოვეს უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობაშიც „ბრიგადულ-ლაბორატორიული" მეთოდის ფართოდ გავრცელების სახით. ეს, უკაცრავად პასუხია, „მეთოდი" ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი: „ჯგუფობრივი მეცადინეობა ნაკლებკვალიფიციურ ხელმძღვანელებთან სცვლის დადგენილ ლექციებს, ამასთან ერთად სტუდენტებს ზედმეტად ტვირთავენ სხვა სახის სასწავლო მუშაობით მათი დამოუკიდებელი მუშაობის საზიანოდ".

სწავლების ასეთი სისტემის საშიშროება აშკარაა და ფრიად სამწუხარო შედეგებს იძლევა. ნამდვილად რომ ითქვას, სტუდენტს საშუალებას არ აძლევდნენ დამოუკიდებლად ემუშავნა, სასწავლო მასალა მოესაზრებინა, გაეფართოვებინა იგი ამა თუ იმ საგანზე ლიტერატურის კითხვით და არ დასჯერებოდა სახელმძღვანელოს. სტუდენტს, მოზრდილ ადამიანს, რომელიც ვალდებულია შეძლოს იმუშაოს წიგნზე, ცოდნის ასამაღლებლად, შეარჩიოს საჭირო და პირველხარისხოვანი, უკუაგდოს ზედმეტი და მეხსიერების დამტვირთავი, — ბიჭად, მოწაფედ აქცევდნენ.

„ბრიგადულ ლაბორატორიული" მუშაობა განისაზღვრებოდა გავლილის უმიზნო გადაღეჭვით, იმით, რომ სტუდენტის ყოველ ნაბიჯს კონტროლს უწევდა ვიღაც „მეცნიერული ბებია", ამასთან ხშირად ნაკლებმომზადებული ასპირანტი ან კურსით უფროსი ამხანაგიც კი. ამავე დროს სტუდენტმა, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, საამქროში, სკოლაში, ტრანსპორტზე დამოუკიდებლად უნდა გადასჭრას რთული პრობლემები ისეთ პირობებში, როცა მას ყოველთვის როდი აქვს დრო და შესაძლებლობა ხანგრძლივი მოფიქრებისათვის.

საბოლოო ანგარიშით უმაღლესი სკოლა ხშირად უშვებს ისეთ ახალგაზრდა ადამიანებს, რომელთა თავი გავსებულია ფორმულებითა და ფორმულირებებით, ნაწყვეტებით სახელმძღვანელოებიდან, გაზეპირებული სიბრძნით, მაგრამ რომელნიც იბნევიან, როცა რეალურ ცხოვრებას, საწარმოო პროცესებს წააწყდებიან. განა ცოტანი არიან ჩვენში, მაგალითად, ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებლები, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ, თუ როგორ უნდა იქნას გაანგარიშებული აგურის უბრალო ფარდულის წყობა, ან ახალგაზრდა ექიმები, რომელთაც აცახცახებს აზრი, რომ აუცილებელია ავადმყოფს ვენაში შეუშხაპუნონ? განა ცოტანი არიან ჩვენში ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც არ შეუძლიათ მოიხმარონ ყველაზე ელემენტარული ინსტრუმენტიც კი თავის სპეციალობაში?

უდიდესი უარყოფითი როლი ასეთი „სპეციალისტების" აღზრდაში, რომელთაც ტანჯვაწვალებით უხდებათ ხელახლა სწავლა ცოცხალი მუშაობის დროს, ითამაშა იმან, რომ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას — მთელი სასწავლო პროცესის ამ შემადგენელ ორგანულ ნაწილს — ჯეროვანი ხელმძღვანელობა არ ეწეოდა. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია და ჩატარება თითქმის ყველაზე უფრო მტკივანი ადგილია უმაღლეს სასწავლებელთა მთელ მუშაობაში. ამაში დანაშაული მარტო უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას არ მიუძღვის. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის სახალხო კომისარიატები იძლევიან არასაკმაოდ მოწყობილ საწარმოებს, კლინიკებს, ლაბორატორიებს და სხვ. არ არის სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის აუცილებელი კონტროლი".

სახალხო კომისარიატთა პასუხისმგებლობა კადრების არადამაკმაყოფილებელი მომზადებისათვის, რასაკვირველია, არ განისაზღვრება მარტო სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის საკითხებით. „უმაღლესი სასწავლებლები სრულიადაც ვერ სარგებლობენ იმ ყურადღებით, როგორითაც სახალხო კომისარიატებში ჩვეულებრივ სარგებლობენ საწარმონი" — ამით აიხსნება უმაღლესი სკოლის ბევრი ნაკლი, თუ უმეტესობა არა.

ეს მკვეთრად აშკარავდება უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების დროს. მისაღები გამოცდები ფორმალურად ტარდება, და ამის გამო სტუდენტებად ღებულობენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც საკმაო ფუძე არა აქვთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის, რომელნიც ზოგჯერ პირდაპირ მცირემცოდნენი არიან. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია სამედიცინო და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობა. ამ სასწავლებელთა დირექტორები ხშირად ხელმძღვანელობდნენ აშკარად უსაფუძვლო მოსაზრებებით — ოღონდ თავისუფალი ადგილები არ აღმოჩნდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთარ უუნარობას მიღების მოწყობის საქმეში ამართლებდნენ უნიადაგო შიშით — ვაი თუ მოსწავლეთა საკმაო კონტიგენტები არ იქნესო.

სახალხო კომისარიატთა მხრივ უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელობის უმწეობა არა ნაკლები სიცხადით აშკარავდება დირექტორთა ერთმმართველობის საკითხშიც; ერთმმართველობას ხშირად არღვევს ადმინისტრირება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხრივ. მაგრამ თავის მხრივ დირექტორებიც, როგორც აღნიშნულია სახკომსაბჭოს და ც. კ.-ის დადგენილებაში, „მმართველობის მთელ რიგ ძირითად ფუნქციებს მეორეხარისხოვან პირთ ანდობენ".

დადგენილების ეს სტრიქონები მკაცრი განაჩენია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ უაღრესად პასუხსაგებ სამუშაოზე დააყენეს და რომლებიც მას არა ბოლშევიკურად ეკიდებიან. დირექტორის ერთმმართველობა — ბოლშევიზმის ძირითადი პრინციპი საწარმოს ან დაწესებულების მართვაში სავალდებულო პირობაა უმაღლესი სასწავლებლის წარმატებითი, ზუსტი მუშაობისთვისაც.

საბჭოთა სპეციალისტი უნდა იყოს საუკეთესო სპეციალისტი მსოფლიოში, — ამ ლოზუნგს აქვს არსებობის ყველა უფლება და პრაქტიკული რეალიზაციის ყველა შესაძლებლობა. განა, გარდა სსრ კავშირისა, კიდევ არის რომელიმე სხვა ქვეყანა, სადაც განათლების უფლება, უმაღლესი განათლების უფლება, ყველა მშრომელის უფლებად გამხდარიყოს! განა არის კიდევ ისეთი სახელმწიფო, სადაც უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა თითქმის 100 პროცენტი არა მარტო უფასოდ სწავლობდეს, არამედ სტიპენდიებსაც ღებულობდეს! განა მსოფლიოში კიდევ არის ისეთი ქვეყანა, სადაც მეცნიერება და მეცნიერი მუშაკნი სახელმწიფოს, მთავრობის ასეთი პატივისცემითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ! განა კიდევ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ყოველ სტუდენტს ჰქონდეს ნათელი და მტკიცე პერსპექტივა სპეციალობის მიხედვით მუშაობისა, თავისი შემოქმედებითი ტალანტის გამოვლინების უზრუნველყოფილი უფლება და განუსაზღვრელი შესაძლებლობა!

ასეთი სხვა ქვეყანა, გარდა სსრ კავშირისა, მსოფლიოში არ არის. და ეს გვაძლევს ობიექტურ შესაძლებლობას მოვამზადოთ საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში ქვეყნიერებაზე საუკეთესო, მაღალკულტურული, განათლებული სპეციალისტები, რომლებიც საუცხოოდ ჰფლობენ თავის სპეციალობას.

სახკომსაბჭოს და ც. კ-ის დადგენილება ითვალისწინებს უმაღლესი სკოლის ცხოვრების ყველა მხარეს, უზრუნველყოფს ყველა პირობას ნორმალური მუშაობისათვის, გადაშლის უდიდეს შესაძლებლობებს პროფესურისა და სტუდენტობის შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისათვის. უმაღლეს სასწავლებელთა კედლებში მტკიცედ გამოწრთობილი ახალგაზრდა სპეციალისტები გადაეშვებიან ცხოვრებაში და ცოცხალი შემოქმედებითი შრომის პროცესში წინ წასწევენ მეცნიერებას, ვინაიდან

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი—ამხ. სტალინს

ჩვენო ძვირფასო და მშობლიურო ამხ. სტალინ!

ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, შეკრებილი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიული პლენუმის შედეგების განსახილველად მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, რევოლუციური კაცობრიობის ბრძენ მასწავლებელს და ბელადს, სოციალისტური საზოგადოების გენიალურ ხუროთმოძღვარსა და მესაჭეს.

საბჭოთა ქვეყანა კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებათა განხორციელების აკვნად გადაიქცა. ახალი კონსტიტუცია, შექმნილი თქვენი ფოლადისებური ნებისყოფითა და გენიით, ჩვენი დიადი ეპოქის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, იგი პროგრამაა ფაშიზმისა და კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლისა ექსპლოატაციის მოსასპობად. მშრომელთა ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების შესაქმნელად და ხალხთა ნამდვილი დემოკრატიის განსახორციელებლად. ჭიათურის პარტაქტივი მხურვალედ ესალმება ახალი კონსტიტუციის პროექტს. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების — აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს — საბჭოთა კავშირში უშუალოდ შესვლის მომზადებაში ბრწყინვალე ისტორიული როლი შეასრულა უკვდავი ლენინისა და თქვენი ინიციატივით შექმნილმა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების განუხრელად გატარებით და თქვენი უშუალო მითითებების განხორციელებით ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა ლავრენტი ბერიას მეთაურობით მიაღწიეს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის სტალინურ მეგობრობას და რესპუბლიკათა სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ აყვავებას. აქტივის კრება სიტყვას გაძლევს, დიდო ბელადო, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის არსებული სტალინური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მუდამ მოწინავე რიგებში ვიქნებით, დაუნდობლად შევმუსრავთ პარტიისა და ხალხის მტრებს, ნაციონალიზმისა და ნაციონალ-უკლონიზმის, უბადრუკ ნამსხვრევებს.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს — საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, ხალხთა დიდ მეგობარს და რევოლუციური კაცობრიობის ბრძენ ბელადს — ამხანაგ სტალინს!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი—ამხ. ლ. ბერიას

ჭიათურის პარტიული აქტივის კრება, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის ისტორიული პლენუმის შედეგების განსახილველად შეკრებილი, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის შენ, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ნიჭიერსა და ნაცად ხელმძღვანელს, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს.

ც. კ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება ახალ შესანიშნავ ფურცელს შლის პროლეტარული რევოლუციის განვითარების ისტორიაში. ახალი კონსტიტუცია, შექმნილი სტალინის გენიითა და უშუალო ხელმძღვანელობით, სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა განსახიერებაა. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა და ხალხის მტრების — ტროცკისტ-ზინოვიეველების, მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და სხვათა განადგურებით საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს ბედნიერი და სამეურო ცხოვრება, ჩვენი ქვეყანა გადაიქცა კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებათა რეალურ განსახიერებად.

ჭიათურის ბოლშევიკები მხურვალედ მიესალმებიან სტალინურ კონსტიტუციას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების — აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა დიდ ოჯახში უშუალოდ შესვლას, რაც გათვალისწინებულია მასში და რაც იმ საამაყო მიღწევათა შედეგია, რომლებიც შენი უშუალო ხელმძღვანელობით მოიპოვეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა და სოციალიზმის გამარჯვების საქმეში. ლენინ-სტალინის ინიციატივით და მათი ერთგულესი თანამებრძოლის, ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით შექმნილმა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ შეასრულა თავისი უდიდესი ისტორიული როლი ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის სტალინური მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარებით და რესპუბლიკების სამეურნეო-კულტურულ-პოლიტიკური განმტკიცებით, რასაც შენ, ამხ. ლავრენტი, სათავეში უდექი, რაზმავდი რა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს და მშრომელთ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ოქტომბრის დადგენილებისა და ამხ. სტალინის მითითებათა მტკიცედ გატარებისათვის.

ამხანაგო ლავრენტი! ჩვენ, ჭიათურის ბოლშევიკები, სიტყვას გაძლევთ მტკიცედ განვახორციელოთ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის დადგენილებანი, სანიმუშოდ ჩავატაროთ პარტდოკუმენტთა გამოცვლა, გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე, დაუნდობლად ვიბრძოლოთ ოპორტუნისტული თვითდამშვიდების წინააღმდეგ, საბოლოოდ გავანადგუროთ ხალხისა და პარტიის მტრების ყოველგვარი ცდები — ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას, სავსებით გავამართლოთ შენს მიერ ჭიათურის პარტიული ორგანიზაციისათვის მიცემული შეფასება და ნდობა და ოქტომბრის დღესასწაულისათვის მთლიანად შევასრულოთ მარგანეცის გეგმები.

კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 24 ივნისი. დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მთავრობის დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ მთელი რიგი დეპუტატები შეკითხვებით გამოვიდნენ. გამსულ დეპუტატთა უმრავლესობა ეკუთვნის პალატის მემარჯვენე და ფაშისტურ დაჯგუფებებს.

მონტინი („დემოკრატიული მემარცხენე და რადიკალური დამოუკიდებელი ჯგუფის" ფრაქცია — მანდელენის ჯგუფი) ქადაგებდა პირდაპირ მოლაპარაკებას გერმანიასთან.

დე-კერილისმა (პალატაში მიემხრო ეგრეთწოდებულ „რესპუბლიკელ დამოუკიდებელთ" — მანდელ-კიაპის ჯგუფი) განაცხადა — არ ვენდობი მთავრობაში შემავალ ადამიანებს და პირველ ყოვლისა არ ვენდობი დალადიეს, რომელსაც თითქოს „ჰიტლერთან ჰყავს პირადი მეგობარი, როგორც საგანგებო ელჩი". დე-კერილისმა ბევრი ილაპარაკა საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიაზე, გერმანიის თავდასხმის საშიშროების შესახებ, მაგრამ იმავე დროს გაილაშქრა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების წინააღმდეგ. დასასრულ მან სასტიკად გაილაშქრა სახალხო ფრონტის პარტიების, განსაკუთრებით კომუნისტების წინააღმდეგ. ეს გამოსვლები შეწყვიტეს მემარცხენე პარტიების დეპუტატთა პროტესტებმა.

კომდეპუტატის ამხ. პერის სიტყვა

დიდი ყურადღებით მოისმინა პალატამ კომუნისტი დეპუტატის გაბრიელ პერის სიტყვა.

— იტალიის საწინააღმდეგო სანქციათა გაუქმება, — განაცხადა პერიმ, — ოდნავადაც არ შეარბილებს იტალიის აგრესიის დაგმობას". მაგრამ ამჟამად საკითხი პირველ ყოვლისა ის არის, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან საფრთხე, საერთაშორისო მშვიდობიანობას რომ ემუქრება. ყოველი კაპიტალისტური სისტემა შეიცავს ომს. მაგრამ უნდა ხაზი გაესვას, რომ ამჟამად დიდ საშიშროებას წარმოადგენს გერმანიის ფაშიზმის მტაცებლური პოლიტიკა. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ჰიტლერს ომი სურს. არსებობს თუ არა შესაძლებლობა ამ პოლიტიკას დაუპირისპიროთ ისეთი პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია მშვიდობიანობა დაამყაროს ევროპაში. განა მნიშვნელოვანი არ არის ის ფაქტი, რომ ჰიტლერის გერმანია უკუაგდებს ახლა ყოველგვარ გარეგნად შელამაზებულ საბაბს და გებელსის პირით აცხადებს, რეინის ზონის რემილიტარიზაცია იმიტომ მოვახდინე, რომ მე მაკისრია მისია კონტრრევოლუციური ჟანდარმი ვიყო საფრანგეთის წინააღმდეგო. საფრანგეთის მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ მშვიდობიანი ურთიერთობა შეუთავსებელია მსგავს გამოლაშქრებასთან და რომ საფრანგეთს უფლება აქვს იყოლიოს პარლამენტის როგორიც სურს ისეთი უმრავლესობა და როგორიც სურს ისეთი მთავრობა.

შემდეგ პერიმ მოაგონა პალატას, რომ, თანახმად ჰიტლერის წიგნის „მაინ კამპფის" („ჩემი ბრძოლის") მტკიცებისა, საგარეო პოლიტიკის გატარების ერთადერთი საშუალება ხმალია. ბოლოსდაბოლოს ხმალი სწყვეტს ყველაფერს. ეს ფორმულა შუქს ჰფენს ჰიტლერის დიპლომატიურ წინადადებებს, — ხაზი გაუსვა პერიმ. ჰიტლერს სურს ევროპა საკუთარი სქემის მიხედვით ააწყოს, ორ ზონად გაჰყოს იგი. ომი ნებადართული იქნებოდა აღმოსავლეთში და აკრძალული იქნებოდა დასავლეთში. მაგრამ ვინ ვერ ხედავს ამ გამიჯვნის მთელ ხელოვნურობას. განა ჰიტლერმა დასავლეთში არ ჩაიდინა თავისი ძალადობის აქტი 7 მარტს? რა შეიძლებოდა კიდევ ყოფილიყო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების უკეთესი გამართლება და ბატონი დე-კერილისი, როდესაც ჰიტლერულ საშიშროებაზე ლაპარაკობს, როგორ იჩენს ამდენ არათანამიმდევრობას, რომ ჰგმობს ამ პაქტს? შემდეგ პერი ხაზს უსვამს, რომ ჰიტლერის მიერ წამოყენებული პაქტთა სისტემა ისეა მოფიქრებული, რომ თავისუფალი ასპარეზი დაუტოვოს გერმანიის აგრესიას. ეს მშვიდობიანობის გეგმა არ არის.

კომუნისტური ფრაქცია მიმართავს გერმანიის ხალხს მოწოდებით, რათა სხვა ხალხებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიანობის საქმეში. კომუნისტური ფრაქცია, რომელმაც პირველმა დაგმო ვერსალის ხელშეკრულება, მოუწოდებს გერმანიის ხალხს თანამშრომლობისაკენ. ჩვენ უნდა ვაცნობოთ გერმანიის ხალხს, — განაცხადა პერიმ, — რომ საფრანგეთს მხოლოდ მშვიდობიანი ზრახვები აქვს. მაგრამ უნდა ვუთხრათ გერმანიის ხალხს, რომ იგი უეჭველია შეიძლება გახდეს ფაშისტური სამხედრო ავანტიურების მსხვერპლი. მისი ინტერესებისა და ყველა ხალხის ინტერესების სასარგებლოდ უნდა ვაწარმოოთ პოლიტიკა, რომელსაც შეეძლება უკან დაახევინოს ომის ძალებს და გამბედაობა დააკარგვინოს აგრესორს. ომის საფრთხეს ჰქმნის აგრესორის იმედი, ხანდახან კი რწმენაც, რომ იგი დაუსჯელი დარჩება. უნდა გაიფანტოს ეს იმედი და მოისპოს ეს რწმენა. და ეს იქნება მშვიდობიანობის პოლიტიკა. უნდა აღვადგინოთ ინგლის - საფრანგეთის თანამშრომლობა, რასაც თავის პოლიტიკით ძირი გამოუთხარა ლავალმა, რომელმაც მუსოლინის დაუჭირა მხარი. უნდა მივმართოთ ინგლისის მშრომელებს, ინგლისის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც კოლექტიური უშიშროებისაკენ მისწრაფვის, და არა ლორდს, რომელიც ღებულობს რიბენტროპს და მის ემისრებს. უნდა დავანახვოთ ინგლისს, რომ იაპონია - გერმანიის დაახლოვება საფრთხეს უმზადებს მის უშიშროებასა და მის ვაჭრობას. საფრანგეთ-ბრიტანეთის შეთანხმების დადების შემთხვევაში უნდა დავიცვათ მოსალოდნელ შეტევათაგან დუნაის ქვეყნების ხალხები. ხელი უნდა შევუშალოთ დაპყრობათა ცდებს ევროპის ცენტრში. არ უნდა ჩავიდინოთ ისეთი, რამ რასაც შეეძლება შეასუსტოს მცირე ერების ნდობა ერთა ლიგის მიმართ და აიძულოს ისინი ჟენევისა და საფრანგეთის დაშორებით ეძებონ უშიშროების გარანტიები. მცირე ანტანტის ქვეყნებს, აღნიშნა შემდეგ პერიმ, შეხო ჰიტლერის პროპაგანდა და ამ უკანასკნელს იმდენად აქვს იქ წარმატება, რამდენადაც სუსტდება კოლექტიური უშიშროების იდეა. საფრანგეთმა დაიბრუნა ამ ხალხების სიმპატიები, როდესაც გადასწყვიტა ერთა ლიგის წესდების დაცვა.

შეჩერდა რა საფრანგეთ-პოლონეთის ურთიერთობაზე, პერიმ განაცხადა:

„უნდა ვუთხრათ პოლონეთის ხალხს, რომ საფრანგეთი წინააღმდეგია ყოველგვარი ფიქრისა იმ დიდ სახელმწიფოთა დირექტორიის შესახებ, რომელიც თავის კანონებს თავს ახვევენ მცირე ანტანტას. პოლონელი ხალხი ყურადღებს ამ სიტყვებს იმ შემთხვევაშიც კი, მათ მოსმენაზე პოლკოვნიკმა ბეკმა უარიც რომ სთქვას. ერთა ლიგა, აბისინიის საქმის შედეგების მიხედვით, ულონო აღმოჩნდა აგრესორის წინაშე. უნდა შევასწოროთ აგრესორის განმარტება საბჭოთა ფორმულის საფუძველზე. ეს განამტკიცებს ერთა ლიგას. მეორე მხრივ, ძნელია აიძულო ყველა ხალხი ერთნაირი ვალდებულება იკისრონ აგრესიის შემთხვევაში. ამ სიძნელის დასაძლევად შეიძლება დადებულ იქნას ყველასთვის ღია რეგიონალური პაქტები, რომელთა ნიმუშიც მოცემულია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით (ტაში მემარცხენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა სკამებზე). კომპარტიას სურს მშვიდობიანობა ყველა ხალხთან. მას სურს დაამყაროს სრული და ყოველმხრივი მშვიდობიანობა. არა არის რა წარმატებით დაგვირგვინებულ ძალადობაზე უფრო საშიში. მშრომელთა საერთაშორისო კავშირმა უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანობის ხსნა (ტაში უკიდურეს მემარცხენეთა სკამებზე). ეს ხსნა მოითხოვს, რათა მთავრობა მოქმედებდეს ერთი და იმავე მიმართულებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც. საფრანგეთის პუბლიცისტები სწერდნენ, საფრანგეთში რევოლუცია იწყებაო — ეს პუბლიცისტები თითქოს შუამდგომლობდნენ ჰიტლერის წინაშე, რათა მას შეესრულებინა რომელიღაც თავისი დაპირება". პერის უკანასკნელ სიტყვებს, რომლებიც ამხილებენ მემარჯვენე - ფაშისტურ საპარლამენტო უმცირესობის ნამდვილ სახეს, მოწონებით შეხვდა პალატის მემარცხენე სექტორი. პერი მიმართავს დელბოსს და დასასრულ ამბობს:

„ამ პოლიტიკის მომხრეთა წინააღმდეგ, თქვენ დაიცავთ მანდატს, რომელიც საფრანგეთმა მოგცათ. ჩვენ ტაშს გიკრავდით, როდესაც თქვენ ლაპარაკობდით, რომ მთავრობა მზად არის იბრძოლოს მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის. თქვენ იხსნით მშვიდობიანობას ფაშიზმისა და მის საომარ ზრახვათა წინააღმდეგ კოლექტიური უშიშროების მოწყობით თქვენ იხსნით თავისუფლებას კობლენცის ხალხის (საფრანგეთის კონტრრევოლუციონერი ემიგრანტები საფრანგეთის რევოლუციის დროისა) წინააღმდეგ სახალხო თავდაცვის მოწყობით.

პალატის მემარცხენე უმრავლესობა ფეხზე დგება და პერის ოვაციას უმართავს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა საპასუხო გამოსვლაში განაცხადა, საფრანგეთი შეასრულებს ყველა ნაკისრ ვალდებულებასო. მთავრობას სურს თვალი გაუსწოროს სინამდვილეს და სავსებით ითვალისწინებს არსებულ საშიშროებას. თუ განიარაღებათა კონფერენციის ჩაშლიდან, როგორც ერთა ლიგის წესდების დარღვევიდან, ყველამ უნდა მიიღოს გაკვეთილი და გააძლიეროს თავისი სიფხიზლე. საფრანგეთის მთავრობას სურს დარჩეს კოლექტიური უშიშროების ერთგული, ვინაიდან ფიქრობს, რომ კავშირთა ძველი სისტემა საბედისწერო გარდუვალობით მიგვიყვანდა ომამდე. საფრანგეთი ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შეიძლება, რათა დაიცვას საერთაშორისო სამართლიანობა და არ დაეთანხმოს არავითარ ორაზროვან ფორმულებს ლოკარნოს დარღვევის საპასუხოდ.

შეეხო რა გერმანიას, დელბოსმა განაცხადა:

„საფრანგეთი მოიმოქმედებს ყველაფერს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა საფრთხე თავიდან იქნას აცილებული. გერმანიისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში არ არის არავითარი გაურკვევლობა და ჩვენ შევეცდებით მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას, რომელიც უფლებასა და სამართლიანობაზე იქნება დამყარებული.

დელბოსის გამოსვლის შემდეგ კომუნისტურ, სოციალისტურ და რადიკალ - სოციალისტურ ფრაქციებს „სოციალისტური კავშირის" და „დამოუკიდებელ მემარცხენეთა" ჯგუფებს შეაქვთ რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„პალატა იწონებს მთავრობის დეკლარაციას, ანდობს მას მშვიდობიანობისა და საფრანგეთის დაცვის საქმეს კოლექტიური უშიშროების საფუძველზე და გადადის დღის წესრიგზე".

მთავრობა აყენებს ნდობის საკითხს. პალატა ნდობას უცხადებს მთავრობას 382 ხმის უმეტესობით 198 ხმის წინააღმდეგ (ტას).

* * *

„მეცნიერება, რომელსაც კავშირი გაუწყვეტნია პრაქტიკასთან, გამოცდილებასთან, — რაღა მეცნიერებაა?.. მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ სცნობს ფეტიშებს, მას არ ეშინია აღმართოს ხელი დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას" (სტალინი).

„პრავდის" მოწინავე 26/VI.

ფრანკოს სახელობის თეატრისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან

25 ივნისს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბში გაიმართა კიევის ი. ფრანკოს სახელობის სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან.

ეს მეგობრული შეხვედრა ფრანკოს სახელობის თეატრის ტფილისში ყოფნის, მისი საუცხოო სპექტაკლების, გამოცდილების გაზიარებისა და შემოქმედებითი ურთიერთობის შემაჯამებელი შეხვედრა იყო.

საღამოს 10 საათზე კლუბში მოვიდნენ ამხანაგები: ლავრენტი ბერია, გ. მგალობლიშვილი, ს. კუდრიავცევი, ბ. მდივანი, გ. ყურულაშვილი, რამიშვილი, ი. ქვანია, ა. ოლიხი და საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობის სხვა წევრები.

საღამო გაიხსნა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ე. გორდელაძის სიტყვით. ამხ. ე. გორდელაძემ თავისი პირველი სიტყვა უძღვნა იმას, ვისაც მივყევართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, ახალი, ბედნიერი, გალისკროვნებული ცხოვრებისაკენ, — საბჭოთა ხალხის ბელადს, თანადროულობის უდიდეს ადამიანს, საყვარელ მეგობარსა და მასწავლებელს, ამხანაგ სტალინს.

საქართველოს და უკრაინის ხელოვნების მუშაკებმა ოვაციის გრიალით, ხანგრძლივი ტაშით უპასუხეს დიდი სტალინისადმი მიძღვნილ მისალმებას. ყველა დამსწრე ფეხზე მდგომი რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაშის ცემით ესალმებოდა საყვარელ სახელს. ისმოდა შეძახილები: „ვაშა სტალინს", „ხაი ჟივე ველიკი სტალინ!".

როდესაც ტაში მიწყნარდა, სახალხო გუნდმა სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით შეასრულა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხთა რამდენიმე ლამაზი მელოდიური სიმღერა.

შემდეგ ამხ. ბუდუ მდივანმა დამსწრეთა აღფრთოვანებულ ტაშის გრიალში მიესალმა ძვირფას სტუმრებს, მშვენიერ უკრაინის წარმოგზავნილებს და ძმური სალამი უძღვნა უკრაინის პარტიისა და მთავრობის სახელოვან ხელმძღვანელებს — ამხანაგებს: ს. კოსიორს, პ. პოსტიშევს, ლიუბჩენკოსა და პეტროვსკის.

სახალხო არტისტმა, ორდენოსანმა ა. ვასაძემ თავისი სიტყვა მიუძღვნა უკრაინის თეატრის მაღალ ხელოვნებას და მხურვალედ მიესალმა ფრანკოელებსა და მათ ხელმძღვანელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ორდენოსან გნატ იურას.

მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობებით აღსავსე იყო უკრაინულ, ქართულ და რუსულ ენებზე წარმოთქმული სიტყვები და მისალმებანი. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ენების ფერადოვან სიმდიდრეში საუცხოო გამოხატულებას პოულობდა წარმოთქმული სიტყვების გულითადობა. სიტყვებს სცვლიდა შესანიშნავი სიმღერები, რომლებიც შეასრულეს სახალხო გუნდებმა სანდრო კავსაძის, პაჭკორიას, სიმონიშვილისა და შელეგიას ხელმძღვანელობით. კახეთის, სამეგრელოსა და გურიის ხალხურ მელოდიებს მოსდევდა უკრაინის სტეპის სივრცესავით ფართო, კეთილხმოვანი სიმღერები, რომლებიც საუცხოოდ შეასრულეს ფრანკოს სახელობის თეატრის მსახიობებმა.

ტფილისის ოპერის არტისტებმა ანდღულაძემ, ჭუმბაშვილმა, ამირანაშვილმა და კავსაძემ შეასრულეს რამდენიმე არია და დუეტი ქართული ნაციონალური ოპერებიდან.

აჟღერდა ჩონგურის სიმები და მოისმა წკრიალა, ხალისიანი სიმღერა, რომელმაც უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია, ეს იყო მეჩონგურე ქალთა ანსამბლის მიერ საუცხოოდ შესრულებული შესანიშნავი სიმღერა სტალინზე.

მისალმებებზე უპასუხა ფრანკოს სახელობის თეატრის ხელმძღვანელმა, სახალხო არტისტმა გნატ იურამ.

მან ილაპარაკა ხალხთა აყვავებასა და მეგობრობაზე, საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა უკრაინას შორის კულტურულ კავშირსა და შემოქმედებით ურთიერთობაზე და თავისი სიტყვის დასასრულს მხურვალე სალამი უძღვნა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, სტანისლავ ბიკენტის-ძე კოსიორს და პავლე პეტრეს-ძე პოსტიშევს.

დიდხანს არ შეწყვეტილა მხურვალე ტაში ამხანაგების: კოსიორის, პოსტიშევისა და ბერიას პატივსაცემად.

დიდ გმირულ წითელ არმიასა და მის საყვარელ სარდალზე, საბჭოთა კავშირის პირველ მარშალზე კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვზე სიტყვა წარმოსთქვა ბესო ჟღენტმა. ტაშის გრიალით და შეძახილებით: „გაუმარჯოს რკინის სახკომს ამხ. ვოროშილოვს", — დამსწრენი გამოხატავდნენ თავის სიყვარულსა და ერთგულებას წითელი არმიისა და მისი სახელოვანი ბელადისადმი.

მარშალ ვოროშილოვის პატივსაცემად გურიის სახალხო გუნდმა შეასრულა საბრძოლო ლაშქრული სიმღერა. ამ სიმღერის სიტყვებსა და რიტმაში ჟღერდა გამარჯვებულ ხალხის სიამაყე, ძალა და სიმამაცე.

უკრაინის პოეტი ამხ. სავჩენკო საუცხოო სიტყვებით მიესალმა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს. იგი ლაპარაკობდა საქართველოსა და უკრაინის ლიტერატურის ღრმა კავშირზე, რომელიც არსებობს, იზრდება და მტკიცდება.

— მალე უკრაინის ხალხი — სთქვა ამხ. სავჩენკომ — თავის ენაზე წაიკითხავს შოთა რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებს, საუცხოოდ პოეტურად თარგმნილს მიკოლა ბაჟანის მიერ.

პოეტმა-ორდენოსანმა პავლე იაშვილმა თავისი სიტყვა მიუძღვნა აყვავებულ უკრაინას და მის ნიჭით უხვად დაჯილდოვებულ ხალხს, მის გამორჩეულ ლიტერატურას. ამხანაგ იაშვილის მგზნებარე სიტყვა მქუხარე ტაშმა დაფარა.

შემდეგ სიტყვას იღებს ამხანაგი ბუდუ მდივანი. იგი ლაპარაკობს სტალინის სამშობლოზე — მზიურ საქართველოზე, ბელადის ყრმობაზე, ლენინის საუკეთესო თანამებრძოლზე, ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმისა და პირველი ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელზე.

ხალხთა დიდ ბელადზე წარმოთქმულ ამ მგზნებარე სიტყვას დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ხელახლა იგრიალა ტაშმა, ხელახლა გაისმა მისალმების შეძახილები, გუგუნებდა ფრანკოელთა საზეიმო სიმღერა სტალინზე.

საღამოს დასასრულ გამოვიდა ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომელსაც მქუხარე ტაშით და ოვაციით შეხვდნენ.

ამხანაგმა ბერიამ ილაპარაკა დიდ რუს ხალხზე, რომელმაც მსოფლიოს გენიალური ლენინი მისცა, რომელმაც დაანგრია მეფისდროინდელი ხალხთა საპყრობილე, რომელმაც წამოაყენა სოციალიზმის, ყველა ეროვნებისა და რასის სრული თანასწორუფლებიანობის დიადი იდეები.

როდესაც ამხანაგი ბერია ლაპარაკობდა იმ ადამიანზე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს ბედნიერი, სიხარულით ცხოვრების გზით, კაცობრიობის მზიური ბედნიერებისაკენ, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და კვლავ იგრიალა აღფრთოვანებულმა ტაშმა.

— ჩვენი სიყვარულით აღსავსე სიტყვები მიმართულია ხალხთა დიდი ბელადის, საყვარელი და მშობლიური სტალინისადმი. ვუსურვოთ მას სიცოცხლე მრავალჟამიერ, რათა თავისი ბრძნული და საუცხოო ცხოვრების ხანგრძლივი წლების განმავლობაში დიდი საბჭოთა ხალხი მიჰყავდეს ძლიერებისა და ბედნიერების ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ. ვუსურვოთ მას მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლე და მისი ხელმძღვანელობით ვიდგეთ მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

— სალამი უკრაინის დიდ ხალხს და მის ხელმძღვანელებს! გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას! გაუმარჯოს დიდ სტალინს! — ამით ამთავრებს თავის სიტყვას ამხანაგი ბერია, რომლის სიტყვებს ყველა დამსწრეთ ტაშის გრიალით და მისალმების შეძახილებით ეგებება.

უკრაინისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მეგობრობის საღამომ, რომელიც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრით აღინიშნა, მიიღო ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა და ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტურ კულტურათა აყვავების მხურვალე დემონსტრაციის სახე.

საქართველოს

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ნამდვილი თავისუფლება

მე სავსებით ვეთანხმები ერთ მწერალს, რომელიც სტალინური კონსტიტუციის პროექტის გამო შენიშნავს, რომ იგი ისეთივე გიგანტური და ეპოქის შემქნელი მოვლენაა, როგორიც ლენინური დეკრეტები ოქტომბრის პირველ დღეებში. მე მინდა დავუმატო, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ოქტომბრის პირმშოა, იგი შესაძლებელია გავიგოთ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საბოლოო გამარჯვების შედეგი, როგორც სოციალიზმის აშენების ლენინურ-სტალინური თეორიის ლოგიკური დანასკვი.

კონსტიტუცია კონკრეტულ - ისტორიულ ფაქტად აქცევს ლენინის დიდი ისტორიული პერსპექტივით გაშუქებულ აზრს იმის შესახებ, რომ ნამდვილი დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლია დაამკვიდროს, რომ ყოველივე სხვა დემოკრატია, ძველი ბერძნული სახელმწიფო ქალაქის, პრიმიტული მთიულების, თუ მსოფლიო ქალაქში დაბადებული ახალი დროის, ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატია, მხოლოდ სიტყვით არის დემოკრატია. დემოკრატიას მიმართავს გაბატონებული კლასი, რათა მეტოქე დასძლიოს, თავისი კლასობრივი ძლიერება განამტკიცოს. ამიტომ ზეგამოჭრილი იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე დიდი ინგლისელი მოაზროვნე თომა ჰობსის აზრი, რომ ბურჟუაზიული წესწყობილების დროს ხალხის მაგიერად დემაგოგი იქნება გაბატონებული.

სტალინური დემოკრატია და მისგან გამომდინარე კონსტიტუციის პროექტი აშენებულია დიდსა და ღრმა მსოფლმხედველობაზე. იგი ეყრდნობა მარქსიზმის ისტორიულ სიბრძნეს, ლენინის უკომპრომისო და შეუპოვარ პრინციპებს, სტალინის თეორიას ახალი ადამიანის მშენებლობის და ამოცანების შესახებ. ამიტომაა რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პრინციპების ფარგლებში მოაზროვნე ადამიანს ორგანულად არ შეუძლია გაიგოს ამ კონსტიტუციის სოციალური პრინციპები. იგი აქ ბურჟუაზიულ თავისუფლებას დაეძებს, ე. ი. ისეთს თავისუფლებას, რომელიც ფულით იყიდება, თავისუფლება კი, რომელზედაც სტალინური კონსტიტუციის პროექტია აშენებული, ბაზარზე სხვა საქონელთან ერთად არ იყიდება, იგი არ შეადგენს კერძო მესაკუთრეთა კლასის პრივილეგიას, იგი სოციალიზმის მშენებელი ადამიანის ინდივიდუალური და ამიტომ საყოველთაო საკუთრებაა.

ყველაზე დიდი გუგუნი თავისუფლებისა ისტორიულ წარსულში საფრანგეთის რევოლუციამ მოუტანა კაცობრიობას მან ადამიანს და მოქალაქეს ვითომ ბუნებრივი უფლება დაუბრუნა და ყველა საარსებო კუთხე თავისუფლების ჰიმნით აავსო. მაგრამ სულ მალე ბურჟუაზიამ ხალხს წაართვა თავისუფლება. თავისუფლების მაძიებლებმა თავისუფლების ყოველივე ნაშთი გაანადგურეს და ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსმა გრამობით აწონილი თავისუფლება დაუტოვა მოქალაქეს. ბურჟუაზიამ აქა-იქ დასტოვა პოლიტიკური თითის თავისუფლება, მაგრამ რადგან კაპიტალიზმის ეპოქაში ყოველივე ღირებულება კაპიტალით შეიძინება, ამიტომ კაპიტალი დაეუფლა თავისუფლებასაც და ამით საბოლოოდ გამოირკვა კაპიტალიზმის ეპოქის თავისუფლებისა და დემოკრატიზმის სიბრძნე: ფორმალურად ადამიანი და მოქალაქე თავისუფალია, მაგრამ მას არ შეუძლია ფაქტიურად მოიხმაროს ეს თავისუფლება.

სულ სხვა პრინციპზეა აშენებული სტალინური კონსტიტუციის პროექტის თავისუფლების თეორია. ბურჟუაზიული თავისუფლების თეორია ისტორიული სიცრუე და უდლო ბავშვი იმიტომ აღმოჩნდა, რომ იგი, ე. ი. თავისუფლება, არაფრით არ იყო გარანტირებული. ჩვენი კონსტიტუცია კი დაყრდნობილია გარანტირებული თავისუფლების თეორიაზე. ჯერ ხალხის გამარჯვება უნდა იყოს სოციალურად გარანტირებული და მერე შეიძლება ხალხმა მართლაც მოიხმაროს თავისუფლება. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა ის უდიდესი ისტორიული სკოლაა, როდესაც მუშათა კლასმა საკუთარი ხელით შექმნა ყველა სოციალური გარანტია, მათ შორის თავისუფლების გარანტიაც. ჩვენი კონსტიტუცია დე-იურე აფორმებს იმას, რაც დე-ფაქტო დიდი ხანია ჩვენი ცხოვრების შინაარს შეადგენდა. თავისუფლება და ნამდვილი პოლიტიკური დემოკრატიზმის პრინციპები შეუძლია მოიხმაროს მხოლოდ ისეთს ადამიანს, რომელსაც აქვს უდიდესი სოციალური გარანტიები: შრომისა, დასვენებისა, განათლებისა, სოციალური უზრუნველყოფისა. კონსტიტუცია ყოველ მშრომელს აძლევს არა მარტო უფლებას, არამედ რეალურ გარანტიასაც, რათა ეს უფლება მან ფაქტიურად გამოიყენოს. აქ დიდი სოციალური სიბრძნეა მოცემული, უდიდესი ახალი სიტყვა, ისტორიის ახალი საფეხურის დაკანონება...

ასეთი კონსტიტუციის დაწერა შეეძლო მხოლოდ გამარჯვებულ შრომას, გამარჯვებულ პროლეტარიატს. ასეთი დოკუმენტის სულისჩამდგმელი შეიძლება ყოფილიყო ეპოქის უდიდესი კაცი. ჩვენი კონსტიტუციის პროექტი სტალინის გენიის ნაყოფია და ეს არის ყველაზე უდიდესი გარანტია იმისა, რომ იგი მთელი კაცობრიობისათვის ნამდვილი დემოკრატიის უდიდესი ნიმუში იქნება.

პროფ. მოსე გოგიბერიძე.

ვამაყობ, როგორც მოქალაქე და ხელოვანი

სტალინური კონსტიტუციის შექმნა — დიადი მნიშვნელობის ფაქტია.

ამ კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა სამშობლოს თვითეულ შვილს, თვითეულ მოქალაქეს მიღებული აქვს უფლება გარანტირებული შრომისა, რაც უდრის პიროვნების სრულ განთავისუფლებას საუკუნოებრივი ჩაგვრისაგან.

ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო დააჩქარებს და ხელს შეუწყობს ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების შემდგომ ზრდა-აყვავებას, როგორც ეკონომიკის, მეცნიერების, ისე ხელოვნების დარგში.

ხელოვნების მუშაკი, ვინც უნდა იყოს ის — აქტიორი, მწერალი თუ მხატვარი, ღებულობს შემოქმედების გაშლისა და გაფართოვების საშუალებას. მხოლოდ საბჭოთა ხელოვანს, განსხვავებით ბურჟუაზიული ქვეყნების ხელოვანთაგან, აქვს საშუალება მოგვცეს მაღალ ხარისხოვანი მხატვრული პროდუქცია, მოგვცეს ხელოვნების უმაღლესი საკაცობრიო ნიმუშები.

მე ვამაყობ, როგორც მოქალაქე და ხელოვანი, შვილი დიადი სოციალისტური სამშობლოისა, სადაც ასე თვალსაჩინოდ უფრთხილდებიან ადამიანის უფლებებს.

ორდენოსანი სახალხო არტისტი —
აკ. ვასაძე.

შემოქმედებითი გაქანების იმპულსი

სტალინური კონსტიტუციის გაცნობამ უდიდესი სიხარული გამოიწვია ჩემში. ვამაყობ, რომ მხოლოდ ჩვენს დიდ სამშობლოში, რომლის აღორძინებისა და გაუგონარი აყვავების მოწამენი ვართ, გახდა შესაძლებელი სოციალიზმის განხორციელების საქვეყნოდ დადასტურება, რასაც ახალი კონსტიტუცია მოწმობს. მიხარია და ვამაყობ, რომ მე სწორედ ამ ქვეყნის შვილი ვარ.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბოლშევიკურმა განხორციელებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირში მოსახლე ერთა ძმური, ურღვევი კავშირის სამუდამოდ განმტკიცება. ჩვენი სამშობლო, რომელიც გადაჭიმულია მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე, წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას, სადაც დიდი და პატარა ერები თანხმობითა და ძმურად ცხოვრობენ. მხოლოდ ჩვენ გვექნება ისეთი კონსტიტუცია, სადაც ყოველი მოქალაქის უფლება-მოვალეობანი ნათლად ღაღადებენ პიროვნების, ადამიანის ნამდვილ თავისუფლებაზე.

საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკებმა მთელი შემოქმედებითი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რათა შევქმნათ მაღალიდეური, მხატვრულად გამართული დიდი სოციალისტური ხელოვნების მშვენიერი ნიმუშები, შესაფერისნი დიდი სტალინური ეპოქისა. სტალინური კონსტიტუცია, საამისოდ ჩვენ გვაძლევს ახალი შემოქმედებითი გაქანების შესანიშნავ იმპულსს.

ორდენოსანი დამსახურებული არტისტი
— ნატა ვაჩნაძე

ჩემი შენიშვნები

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მილიონების სურვილს გამოხატავს, ყოველი მუხლი შეფარდებულია ფართო მასების მოთხოვნებთან, მაგრამ მე მაინც მინდა ჩემი აზრი გამოვსთქვა კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთ მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ. შემომაქვს წინადადება მე-9 მუხლი შესწორდეს შემდეგნაირად:

„მეურნეობის სოციალისტური სისტემის გვერდით, რომელიც სსრ კავშირში მეურნეობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, კანონით დროებით დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა, რომელიც დამყარებულია პირად შრომაზე და გამორიცხავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას". აქ ჩემს მიერ დამატებულია სიტყვა „დროებით".

კონსტიტუციის მე-33 მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის უზენაესი საბჭო შესდგება ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსაგან და ეროვნებათა საბჭოსაგან". ამ მუხლში ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ სიტყვა „პალატას" შევცვლით სხვა რომელიმე შესაბამისი სიტყვით, ვინაიდან ცნება „პალატა" დაკავშირებულია ბურჟუაზიულ წყობილებასთან, პართია-გამგეობის ბურჟუაზიულ ფორმასთან.

კიდევ ერთი შენიშვნა: მე-142 მუხლში ვკითხულობთ: „თვითეული დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს თავის მუშაობაში და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობაში"... აქ ჩემი აზრით საჭიროა განისაზღვროს ვადა, თუ რა ხნის განმავლობაში უნდა აბარებდეს დეპუტატი ანგარიშს.

ესტატე ფასურიშვილი.
ტფილისის მაუდის ფაბრიკის საკამვოლ-სართავი განყოფილების ოსტატი.

სახალხო ფრონტის მიტინგი პარიზში

12 ივნისს პარიზის ველოდრომზე ბუფალოში ჩაიმართა სახალხო ფრონტის გრანდიოზული მიტინგი. დემონსტრანტების კოლონას მიუძღოდა ახალი ბაირაღი—წითელი დროშა ჩაქუჩითა და ნამგლით. რომელზედაც მარცხენა კუთხეში ამოქარგულია სამფეროვანი ნაციონალური ბაირაღი. სურათზე: მიტინგის საერთო ხედი. უკანაპლანზე — ახალი ბაირაღი.

პრესის მიმოხილვა

ობივატელები — [illegible]

17 ივნისს რაიონულ ც[illegible] თათბირზე თავი მოიყარეს საკოლმეურნეო აგიტატორებმა, მესაუბრეებმა და მკითხველებმა. თათბირის ანგარიში გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთ „ბოლშოვიკ ვალკოვშჩინიში" (ხარკოვის ოლქი). ანგარიში მოკლეა, მაგრამ მასში აღბეჭდილია მნიშვნელოვანი დეტალები: მოქმედების ადგილი, გარემო და ფონი.

„კოლმეურნის სახლის მთელ დარბაზში გაისმის პატეფონის ფირფიტის „სტუკალკას", შემდეგ დუეტ „კარას ი ოდარკას" სიმფონიური ხმები. ხოლო პატეფონის გარშემო დაახლოვებით 50 კაცს მოუყრია თავი. სულ კი დარბაზში ასამდე კაცია".

მალე შესწყდა „პატეფონის ფირფიტის სიმფონიური ხმები". ჩამოვარდა სიჩუმე.

„სრულ 1 საათზე გაიხსნა თათბირი. მოხსენებით გამოვიდა პარტიის ვალკოვსკის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. პოლიაშენკო. მოხსენების შემდეგ „გაიმართა გაცხოველებული კამათი. სულ გამოვიდა თათბირის 15-მდე მონაწილე".

თუ გაზეთს დავუჯერებთ, საკოლმეურნეო აგიტატორები ცოტ-ცოტას ყველაფერზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველაზე ნაკლებს იმაზე, რაც აღელვებთ და აინტერესებთ კოლმეურნეებს. ორატორთა სიტყვები, რომლებიც „ბოლშოვიკ ვალკოვშჩინიში" დაიბეჭდა, არავითარ წარმოდგენას არ გვაძლევენ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეობებში ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა. თუ გაზეთს დავუჯერებთ, ამ თემაზე არავის კრინტიც არ დაუძრავს. მხოლოდ ამხ. ეხილევსკიმ თითქოს გზადაგზა შენიშნა, რომ „საუკეთესო მკითხველებმა სალაშენკომ მელეშკომ და იანევმა უკვე დაიწყეს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვა".

ამ შემთხვევაში ჩვენ გაზეთს ვერ დავუჯერებთ. კოლმეურნეები განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან ახალი კონსტიტუციის პროექტს. მაგრამ რედაქციამ არ იცის, თუ რა ხდება კოლმეურნეობებში, რითი ცხოვრობენ დღეს კოლმეურნეები არ იცის და, როგორც სჩანს, არც უნდა, რომ იცოდეს. რედაქცია პირდაპირ მოწყვეტილია ცოცხალ ცხოვრებას და თავისთავად არსებობს.

კონსტიტუციის პროექტი მოთავსებულია 14 ივნისის „ბოლშოვიკ [illegible] ში. ამ დღეს რაიონის მშრომელებს შეეძლოთ [illegible] აღეძრათ ინტერესი ადგილობრივი გაზეთისადმი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მკითხველებმა მას კვლავ შეაქციეს ზურგი. და ეს სავსებით ბუნებრივია.

14 ივნისის შემდეგ რედაქციამ კიდევ გამოუშვა „ბოლშოვიკ ვალკოვშჩინის" სამი ნომერი. მაგრამ ამ ნომრებში პატარა ადგილიც კი არ აღმოჩნდა კოლმეურნეთა გამოხმაურებისა და წინადადებებისათვის, წერილებისა და შენიშვნებისათვის, რომლებიც გამოხატავენ კოლმეურნეთა ფიქრებსა და გრძნობებს რაც მათ მგზნებარე სტალინურმა დოკუმენტმა აღძრა.

ვალკოვსკის რაიონში კონსტიტუციის განხილვა მიმდინარეობს ისე, რომ მასში ოდნავ მონაწილეობასაც არ ღებულობს და დახმარებას არ უწევს გაზეთი. რაიონის მშრომელები სასიხარულო დაუვიწყარ დღეებს განიცდიან... „ბოლშოვიკ ვალკოვშჩინის" კომპლექტი ვერ შეინახავს ამ დღეების ხსოვნას, ვინაიდან ამჟამად გაზეთის რედაქტორად არის ობივატელი კოფანოვი.

სამწუხაროდ, კოფანოვი ერთადერთი როდია. სხვა რაიონებშიაც აქა-იქ, პარტიულ ორგანიზაციათა უყურადღებობის მეოხებით, რედაქტორის მაგიდას ჯერ კიდევ უსხედან გონება შეზღუდული ადამიანები, ობივატელები, რომლებსაც არ შესწევთ იმის უნარი, რომ სათავეში ჩაუდგნენ პარტიულ გაზეთს.

კოფანოვს ბევრად არ ჩამორჩებიან სხვა რედაქტორებიც: დობროცკი („უდარნიკ ლანოვ", ჩერნიგოვის ოლქის დომბროვსკის რაიონი), ხმილოვსკი („კრასნაია დერევნია", ლენინგრადის ოლქის ჩაროზერსკის რაიონი) და ზინკინი („ზნამია ლენინა", კურსკის ოლქის სოლნცევის რაიონი) — კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნების მეორე დღესვე ამ, უკაცრავად პასუხია, რედაქტორებს დაავიწყდათ იგი. ამ გაზეთების ფურცლებზე არა სჩანს არც თავისი რაიონის კოლმეურნეთა აზრი, არც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების მშრომელთა აზრი, არც ახსნა-განმარტებითი სტატიები.

უცნაურია, რომ პარტიული კომიტეტები დღემდე ვერ ამჩნევენ ხსენებულ რედაქტორთა ანტიპარტიულ პოზიციას.

(„პრავდა").

გამარჯვებული რაიონი

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას).

ზუგდიდის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. 25 ივნისისათვის ჩათვლით რაიონში დამზადებული იყო 2025 ცენტნერი პარკი, რაც გეგმის 101,3 პროცენტს შეადგენს. კოლოფზე საშუალო გამოსავლიანობა ჯერჯერობით უდრის 42 კილოგრამს. დამზადება გრძელდება.

რაიკომის მდივანი **გვასალია.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **როგავა.**

ა. რამიშვილი

საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი

იუსტიციის ორგანოები და ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან მეცხოველეობაში

მეცხოველეობის დარგში ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა იუსტიციის ორგანოების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

მაგრამ სასამართლოს და პროკურატურის, აგრეთვე მილიციის ორგანოების ბევრ მუშაკს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, თუ რარიგ მნიშვნელოვანი და პასუხსაგებია ის ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ ამ დარგში დაგვისახეს.

მეცხოველეობის დარგში ბოროტმოქმედების მდგომარეობის და მასთან ბრძოლის საქმის დაყენების გამოკვლევამ, რომელიც საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა, ეს სავსებით დაადასტურა.

იმ 8 რაიონის შემოწმება (საგარეჯო, სიღნაღი, თელავი, ყარაია, ბორჩალო, ბაშკიჩეთი, ლუქსემბურგი, ტფილისი), სადაც ყველაზე უფრო გავრცელებულია პირუტყვის ქურდობა და სხვა ბოროტმოქმედებანი, შემდეგ სურათს იძლევა:

1935 წლის და 36 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში პირუტყვის ქურდებისა და სხვა ბოროტმოქმედთაგან მიყენებული დანაკლისი შემდეგია: მსხვილფეხა პირუტყვი — 402 სული, წვრილფეხა პირუტყვი — 423 სული, სულ 823 სული. აქედან განსაზოგადოებულ სექტორში — 306 სული და განუსაზოგადოებელ სექტორში (ერთპიროვნული გლეხები და კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის პირუტყვი) — 529 სული. ეს ციფრები ამოღებულია სასამართლოების მიერ გარჩეული საქმეებიდან, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მილიციის და სხვა საგამომძიებლო ორგანოებში მოსპობილ საქმეებს, აგრეთვე ისეთ საქმეებს რომლებიც მოსპობილია სხვადასხვა მიზეზით, მაშინ ამ რაიონებში მეცხოველეობისათვის მიყენებული ზიანი კიდევ უფრო სერიოზული იქნება.

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მილიციისა და იუსტიციის ორგანოების მხრივ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის დაყენების საქმეს მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს. ზოგჯერ ეს ნაკლი აღნიშნულ ორგანოთა ცალკეული მუშაკების და რგოლების მხრივ აშკარა უპასუხისმგებლობისა და დანაშაულებრივი დაუდევრობის სახეს ღებულობენ.

ამ ორგანოების მუშაობის ძირითად ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არ ხდება ბოროტმოქმედების ყველა შემთხვევისა და ფაქტის გამოვლინება, თავის დროზე და გადაჭრით არ ეხმაურებიან ჩადენილ და გამოვლინებულ დანაშაულს; როგორც მილიციის, ისე პროკურატურის ორგანოები მეტისმეტად აჭიანურებენ ასეთი საქმეების გამოძიებას; განსაკუთრებით შეუწყნარებლად აგვიანებენ უკვე გამოძიებული საქმეების გარჩევას სასამართლოებში; არ ატარებენ თანამიდევრობით და სწორ დამსჯელ პოლიტიკას, აშკარად ამახინჯებენ მას; უსაფუძვლოდ სპობენ საქმეებს მილიციაში, გამომძიებლებთან და სასამართლოებში; მეტისმეტად სუსტია გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური მუშაობა იმის გამო, რომ საზოგადოებრივი აზრი სუსტად არის დარაზმული სასამართლოთა განაჩენების გარშემო და მოგვარებული არ არის მასობრივი მუშაობა.

ხშირად ბოროტმოქმედებათა გამოკვლევა ჭიანურდება. მაგ. მილიციის ორგანოებში 232 საქმიდან 57-ის გამოძიებას მოანდომეს 10 დღიდან ერთ თვემდე, 47-ის გამოძიებას 1-დან 2 თვემდე და 57-ისას ორ თვეზე მეტი დრო. სახალხო გამომძიებლებმა 132 საქმიდან 40 საქმის გამოძიებას მოანდომეს 10 დღიდან 1 თვემდე, 24 საქმეს 1-დან 2 თვე და 23 საქმის გამოძიება კი 2 თვეზე მეტ ხანს გააჭიანურეს. და ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის პროკურატურის მიერ არაერთხელ მიცემული დირექტივები საგამომძიებლო ორგანოებისაგან მოითხოვენ, რომ ყველა საქმე მეცხოველეობის დარგში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო აუცილებლად გამოიძიონ 15 დღის ვადაში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში — არა უგვიანეს ერთი თვისა. ამავე დროს სრულიად შეუწყნარებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქმეების დაუშვებელი დაგვიანება სასამართლოებში, (315 საქმიდან 126 განიხილეს 10—30 დღეში, 62 საქმე 1-2 თვეში და 61 საქმე კი ორ თვეზე მეტ დროში) გამოძიებული და დამთავრებული საქმეების ასე უმაგალითოდ გაყინვა სასამართლოებში შეფასებულ უნდა იქნას, როგორც ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ყველაზე ცუდი გამოხატულება, როგორც სოციალისტური მეცხოველეობის მტაცებლებისა და მტრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური მნიშვნელობის შეუფასებლობა.

ხელისუფლების იმ ორგანოთა სისტემაში, რომლებიც ეწევიან ბრძოლას მეცხოველეობის დარგში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს მილიცია. მილიციის გარკვეულ, ოპერატიულ მუშაობაზეა დამოკიდებული არა მარტო ბოროტმოქმედებათა გახსნა და საქმის სწრაფად გამოძიება, არამედ მათი თავიდან აცილებაც.

სამწუხაროდ, მილიციის ყველა ორგანოს როდი აქვს შეგნებული ეს მდგომარეობა, ყველგან როდი ესმით და როდი აფასებენ მილიციის ხვედრითს წონას მეცხოველეობის დარგში ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით.

დანაშაულებრივ ქმედობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ძირითად ბოროტებად უნდა ჩაითვალოს საქმეების შეუწყნარებელი გაჭიანურება: საქმე, რომლითაც იბრაგიმ კარუმ-ოღლის და სხვ. (ყარაიას რაიონი) ბრალი ედებოდა 7 ხარის (აქედან 5 ხარი კოლმეურნეობის იყო) მოპარვაში, მილიციამ და გამომძიებელმა 4 თვემდე გააჭიანურეს, ხოლო სახალხო სასამართლოში იგი 5 თვეს და 13 დღეს ჭიანურდებოდა.

საქმე, რომლითაც ასან ნოვრუზ-ოღლის (ტფილისის რაიონი) ბრალი ედებოდა კამეჩის მოპარვაში, გამომძიებელმა 3 თვეს გააჩერა, ხოლო სასამართლომ —4 თვესა და 10 დღეს. განაჩენი გამოტანილ იქნა ბოროტმოქმედების ჩადენის მომენტიდან რვა თვის შემდეგ.

ბორჩალოს რაიონში გამოკვლევის მომენტისათვის გაურჩეველი აღმოჩნდა შემდეგი საქმეები: სოიუნ მამედ-ოღლის ბრალი ედებოდა ორი ხარის მოპარვაში, სასამართლოს მიერ ეს საქმე სამ თვეს არ გაურჩევია; ისა მუსა-ოღლის, ჰამიდ ასლან-ოღლის ბრალი ედებოდათ ცხვრების მოპარვაში, მათი საქმე სასამართლოს 3 ნახ. თვეს არ გაურჩევია.

ის გარემოება, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან ასე შეუწყნარებელი დაგვიანებით ხდება განაჩენის გამოტანა და რეპრესიების გამოყენება, ყოველგვარ ეფექტს უკარგავს ამ განაჩენებს და რეპრესიებს და მხოლოდ უარყოფით შედეგს იწვევს. ასე დაგვიანებით გამოტანილი განაჩენები რარიგ მკაცრიც უნდა იყოს ვერავის აღზრდის, არავის არ აფრთხილებს.

არის ხოლმე შემთხვევები, როცა საქმეებს მრავალჯერ გადასდებენ (სრულიად უმიზეზოდ), როცა საქმე ჰკარგავს საზოგადოებრივ ინტერესს, ჰქრება ბოროტმოქმედების კვალი, ხოლო შემდეგ მას სპობენ „დანაშაულობის ელემენტების უქონლობის გამო" ანდა „ბოროტმოქმედთა მოუძებნელობის გამო". ხოლო ზოგჯერ ბოროტმოქმედნიც იქვე არიან და მამხილებელი საბუთებიც საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ მოსამართლენი ან სპობენ საქმეს სრულიად უსაფუძვლოდ ანდა გამოაქვთ ყოვლად გაუმართლებელი ლიბერალური განაჩენები.

ჯუზარ მუსტაფა ოღლის, რომლის საქმე 19 თვეს ატრიალეს მილიციამ, პროკურატურამ და სასამართლომ და რომელიც წინათ ქურდობისათვის იყო გასამართლებული, მხოლოდ პირობითი სასჯელი მისცეს. პირუტყვის ქურდი ახმედ ორუჯ-ოღლი სასამართლომ პატიმრობიდან გაანთავისუფლა. მისი საქმე 5-ჯერ გადაიდო (მათ შორის ერთხელ დამცველ ნოზაძის განცხადებით, რომ იგი სხვა პროცესზე გამოდიოდა. პირუტყვის ქურდი ფუხაშვილის საქმე 10-ჯერ დაინიშნა და გადაიდო (მოსამართლენი ლომსაძე და მიშველიძე).

ზოგიერთი სასამართლო ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდის, ისინი ხშირად სპობენ საქმეებს მხოლოდ იმის გამო, რომ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ ბრალდება არ არის დამტკიცებული. ასეთ შემთხვევაში საქმეები კი არ უნდა მოვსპოთ, არამედ უნდა ვეძებოთ ნამდვილი დამნაშავე. შეიძლება ამა თუ იმ პირის რეაბილიტაცია მოხდეს; მაგრამ ჩადენილი ბოროტმოქმედება მაინც ბოროტმოქმედებად რჩება.

არც უზენაეს სასამართლოს მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად. საქმეები აქაც ჭიანურდება. აქაც აქვს ადგილი სიფხიზლის შესუსტებისა და ლიბერალური დამსჯელი პოლიტიკის ცალკეულ ფაქტებს. პირუტყვის ქურდ რეციდივისტს, განკულაკებულ ისმაილ მამედ ალი ოღლის ბაშკიჩეთის რაიონულმა სასამართლომ (ბრალდება დადასტურდა) სავსებით სამართლიანად მიუსაჯა 8 წლის პატიმრობა. უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ კი სავსებით უსაფუძვლოდ გააუქმა რაიონული სასამართლოს სწორი განაჩენი.

მეორე შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ პროკურატურას დაუბრუნა ბანდიტ რეციდივისტის ძაგანაშვილის, ფეიქრიშვილის და სხვ. საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ პროკურატურამ არ გააგზავნა საბრალდებო დასკვნები. ჯერ ერთი, — ეს პრეტენზია უცნაური და უკანონოა, მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, განა შეიძლებოდა ისეთი საქმის გაჭიანურება, რომლის გამოც დაპატიმრებულია 7 კაცის მკვლელი 19 რეციდივისტი. ამ ბანდამ გაიტაცა 80 სული პირუტყვი.

დიდი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ბოროტმოქმედება საერთოდ და კერძოდ მეცხოველეობის დარგში შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას მხოლოდ შიშველი რეპრესიებით.

დანაშაულის სწრაფად აღმოჩენა და გამოძიება, მისთვის გამანადგურებელი ლახვარის თავის დროზე ჩაცემა უნდა დაუკავშირდეს ამ დარგში ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილებისათვის საჭირო ფართო ღონისძიებებს.

სამწუხაროდ, იუსტიციის (თავიანთი საზოგადოებრივი აქტივის მეშვეობით) და მილიციის ორგანოები არ ამოწმებენ პირუტყვის დასამწყვდევ და გასაჩერებელ ადგილებს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, მათ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, პირუტყვის დაცვას, განსაკუთრებით იალალებზე, ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, ღამის დარაჯებს, სავეტერინარო ზედამხედველობას. არ ამოწმებენ საზოგადოებრივი მწყემსებისა და ჩობანების, აგრეთვე სხვა პერსონალის შემადგენლობას, რომელთა შორის არის შემძვრალი ან კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის ნამსხვრევები ანდა პროფესიონალი ქურდები და სხვა მიუღებელი ელემენტები.

მასების აღზრდის და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას განაჩენთა გარშემო. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწყობილი საზოგადოებრივ-საჩვენებელი პროცესები და ამ საკითხების ფართოდ გაშუქება როგორც რაიონულ, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრესაში.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ნაკლი, როგორიცაა საქმეების გაჭიანურება, გაურკვეველი მუშაობა, სიზანტე, [illegible] უყურადღებობა — [illegible] წარმოადგენს არაკულტურული მუშაობის შედეგს. ჩვენი სასამართლოებისა და პროკურატურის ცალკეულ მუშაკებს კულტურა ძალიან აკლიათ თავიანთ მუშაობაში. მოსამართლე ნაკლებად ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოამზადოს სასამართლოს სხდომა, იგი ვერ აფასებს პროცესის დროს სასამართლო გამოძიების უდიდეს მნიშვნელობას.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია განაჩენთა შესრულების ზედამხედველობა. განაჩენი ხომ მთელი პროცესის სული და გულია, მაგრამ მის შესრულებაზე ნაკლებად ფიქრობენ. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ჩვენი სასამართლოების განაჩენებს ნაკლებად სცემენ პატივს.

განსაკუთრებით უნდა ვილაპარაკოთ პროკურორებზე, ჩვენ მიერ ზემოთაღნიშნული ყველა დეფექტისათვის პასუხისმგებელია პროკურორი. იგი მთლიანად აგებს პასუხს კვლევა-ძიებისათვის. იგი მეთვალყურეობას უწევს კვლევა-ძიებას ყველა ორგანოში. იგი მოსამართლის თანაბრად პასუხისმგებელია განაჩენისათვის, მისი შესრულებისათვის. ხოლო ბოროტმოქმედების თავიდან აცილება და მასობრივი მუშაობის გაშლა ეს ძირითადად პროკურატურის საქმეა.

ჩვენი პროკურორები და მოსამართლეები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის ისეთ ჩამორჩენილ დარგს, როგორიცაა მეტიზაცია და ზოოვეტზედამხედველობის წესები, რომლებსაც სახელმწიფო კანონის ძალა აქვს. სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს ისეთი მდგომარეობა როცა ჩვენი პროკურორების, მოსამართლეებისა და მილიციის მუშაკთა თვალწინ ჩამორჩენილი კონსერვატიული, ხოლო ზოგჯერ რეაქციული ელემენტები, შეგნებულად აფერხებენ ყოველგვარი სიახლის და გაუმჯობესების შეტანას მეცხოველეობის დარგში, დანაშაულებრივ, ზოგჯერ კი მავნებლურ დამოკიდებულებასაც იჩენენ საჯიშე საქმისა და პირუტყვის უძვირფასესი ჯიშებისადმი. ასეთი ფაქტებზე კი არავინ აძლევს სასტიკ და მრისხანე ზეგავლენას.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს იუსტიციის ორგანოების მეთვალყურეობა იმაზე, რომ განუხრელად გატარდეს ცხოვრებაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, რომელიც სოციალისტური მეცხოველეობის აღმავლობის მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს. ცალკეულ ადგილებში ჯერაც არ არის აღმოფხვრილი წესდების უხეშად დარღვევის ფაქტები.

აქვე უნდა აღინიშნოს ხორცის ჩაბარების შესახებ არსებული კანონის დარღვევა.

ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა პასუხისგებაში აძლევენ ვისმეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების და ხორცის ჩაბარების კანონის დარღვევისათვის, რაც მოხერხებულად შეიძლება გამოიყენონ კულაკურმა ელემენტებმა.

მეცხოველეობის დარგში ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების ერთერთ ეფექტიურ პროფილაქტიკურ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს და პროკურატურის ფართოდ გაშლილი საზოგადოებრივ-მასობრივი მუშაობა. ეს წარმოადგენს იუსტიციის ორგანოების მუშაობის ყველაზე ჩამორჩენილ უბანს, ხოლო ამავე დროს ასეთ მუშაობას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ჩვენს ორგანოებს საერთოდ და კერძოდ მეცხოველეობის დარგში ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ.

ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში სოცშემთავსებელთა, პროკურატურის ხელშემწყობი ჯგუფების და სასიგნალო პოსტების ფართოდ გაშლილ ქსელს შეუძლია არა მარტო მისცეს სიგნალი პროკურატურის და მილიციის ორგანოებს ამა თუ იმ ნაკლსა და ბოროტმოქმედებაზე, არამედ მათ წარმატებით შეუძლიათ შეასრულონ პროკურორის, გამომძიებლის მთელი რიგი დავალებანი, მათ შეიძლება მიენდოს განაჩენთა შესრულების შემოწმება და სხვ.

ჩვენ რომ პროკურატურის ხელშემწყობი ჯგუფები და სასიგნალო პოსტები გვყოლოდა, პროკურორებს —რომ სწორად განეხორციელებინათ საზოგადოებრივი აქტივისათვის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა, მაშინ ამ რაიონების პროკურორთა გვერდის ავლით არ იქნებოდა გამოვლინებული სახელმწიფოს მოტყუების და საბჭოთა კანონების დარღვევის აღნიშნული უმსგავსო ფაქტები.

ბოლშევიკური მუშაობის შედეგად ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა თავისი მებრძოლი ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** წინამძღოლობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს იმ მხრივაც რომ განეხორციელებინათ ხალხთა ბელადის ამხ. **სტალინის** მითითებანი მეცხოველეობის განვითარების შესახებ. ამის მაჩვენებელია ჟიურის მაღალი შეფასება ამიერ-კავკასიისა და ჩრდილო-კავკასიას შორის გამართული იმ შეჯიბრების შედეგებისა, რომლიდანაც ამიერ-კავკასია გამარჯვებული გამოვიდა. საქართველოს იუსტიციის ორგანოებმა პარტიულ და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, მოსპონ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, მოქნილად და ოპერატიულად გამოეხმაურონ კანონის ყოველგვარ დარღვევას, დააჩქარონ საქმის გამოძიება, დროზე და სწრაფად ჩასცენ ლახვარი პირუტყვის ქურდებს და მეცხოველეობის ყველა მტრებს, ჩააბან თავიანთ მუშაობაში ფართო მასები და ამ საფუძველზე თავიდან აიცილონ ბოროტმოქმედებანი, უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარების და აღმავლობის საქმეში.

◆

პარტდოკუმენტების გამოცვლა

დარჩელის პარტორგანიზაციის გაკვეთილები

პარტიული დოკუმენტების გამოცვლის პროცესში გამოირკვა, რომ დარჩელის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული განათლების საქმეს ჯერ კიდევ არ ექცევა სერიოზული ყურადღება. პარტორგი ცხოფეუ კეიდია გატაცებულია სამეურნეო საქმიანობით და ნაკლებად ზრუნავს პარტიული კრებების და პოლიტსწავლების წესიერად მოწყობისათვის; აქ პარტიული კრებები მოუმზადებლად ტარდება და ხშირად წევრებმა არ იციან კრების დრო და ადგილი. დღის წესრიგის წინასწარ გაცნობაზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

— კრებას მაშინ ვიწვევ, როცა ხელსაყრელი დრო მექნება — განაცხადა კეიდიამ და მიზეზად სამსახურებრივი „მივლინებები" დაასახელა. ამავე „საპატიო" მიზეზით ის პარტიულ სკოლაშიც არ დაიარება და საკვირველი როდია, საკმაოდ ვერ ერკვეოდეს პოლიტიკურ საკითხებში.

კეიდიამ ასეთი ცუდი მაგალითი მისცა თავის ორგანიზაციის წევრებს და ამიტომაც ისინი პარტიულ სწავლებას გაურბიან. მაგალითად: ლანდისკო ხარჩილავა ვერ ერკვევა პარტიის წესდებაში, არ იცის, რამდენი ყრილობა ჰქონდა პარტიას და სხვ.

— ჩემი თანამდებობა ისეთია, რომ დრო არ მრჩება პარტსწავლებისათვის! აცხადებს ის. საქ. კ.პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გვახალიამ საუბრის დროს გამომჟღავნებული დეფექტები აღრიცხა, მიიღო ზომები მის გამოსასწორებლად, ამავე დროს ინსტრუქტორს დაავალა ამ ორგანიზაციის მუშაობის საფუძვლიანი შესწავლა და დამატებით ღონისძიებათა წარმოდგენა რაიკომის ბიუროსათვის.

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლამ გამოამჟღავნა, რომ პარტიულ დოკუმენტთა შემოწმების დროს დარჩელის საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციაში დარჩნენ გაუსწორებელი ტროცკისტები და სხვა შეუფერებელი პირები. ასეთნი არიან, მაგალითად: იპოლიტე ნიკოლოზის-ძე გაგუა, მიხეილ კოსტას-ძე შელია, კონდრატე ბუჯუს-ძე კვარაცხელია, მათთვის ჩვეული მახინაციებით დღემდე პარტიის რიგებში იყვნენ. პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისას, აგრეთვე ბილეთების გამოცვლის წინ, სარეგისტრაციო ბლანკის შევსების დროს, ამ ყოფილმა ტროცკისტებმა დამალეს თავიანთი წარსული. რაიკომის მდივანმა ამხ. გვახალიამ შესძლო მათი ბნელი საქმიანობის გამომჟღავნება. ყოფილი ტროცკისტები გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან.

ამ ორგანიზაციაში ირიცხებოდნენ გამფლანგველებიც, რომლებსაც სასამართლოს მიერ სხვადასხვა ვადით პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ესენი არიან ვ. კვარაცხელია და ხ. კაკუა. მათ უკვე მოასწრეს რამდენიმე ათასის გაფლანგვა და ახალ გეგმებს ადგენდნენ საზოგადოების საკუთრების მითვისებისათვის. ისინი გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან.

პარტიის უღირსი ელემენტებისაგან დარჩელის ორგანიზაციის გაწმენდა ხელს შეუწყობს, რომ ამ ორგანიზაციამ საფუძვლიანად გარდაქმნას მუშაობა.

პრ. გვაზავა

◇ ◇ ◇

სარეგისტრაციო ბლანკიც არ გაჰფუჭებიათ

იმ ფხიზელი და სერიოზული მუშაობის შედეგად, რომელსაც ქუთაისის პარტორგანიზაცია პარტიული დოკუმენტების გამოცვლისა და საერთოდ „პარტიული მეურნეობის" წესრიგში მოყვანისათვის აწარმოებდა, პირველადს პარტორგანიზაციებში პარტმასობრივი მუშაობის დარგში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებები ეს დადებითი შედეგები მჟღავნდება ქალაქის და სოფლის პარტორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში. თვითეული კომუნისტის საბრძოლო ამოცანად გადაიქცა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, კოლმეურნეობებში და წარმოება დაწესებულებებში ავანგარდული როლის ნამდვილად განხორციელება.

ამჟამად ქუთაისის ქალაქკომი აწარმოებს პარტიული დოკუმენტების გამოცვლას. ქალაქკომი და კერძოდ ქალაქკომის პირველი მდივანი ამხ. თედო კორსაველი მოფიქრებულად და ყოველმხრივ მომზადებულად ატარებს პარტდოკუმენტების გამოცვლას. საუბარში ქალაქკომის მდივანი სწავლობს და ხელახლა ამოწმებს თვითეული კომუნისტის ცოდნას, უნარიანობას, ბოლშევიკურ საბრძოლო მზადყოფნას.

ამ საუბარში კომუნისტები მოუთხრობენ თავიანთ თავზე მუშაობის შესახებ, პარტიული დატვირთვის, პარტწესდების, საწარმოო გეგმების შესრულების, სტახანოვურ მოძრაობაში თავისი როლის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის და სხვ. შესახებ.

ქალაქკომის მდივნის კაბინეტში შედის რიონჰესის მშენებლობის ყოფილი ელექტრო-მონტიორი, ამჟამად რკინიგზის მუშფაკის მეოთხე კურსის მსმენელი, ახალგაზრდა მუშა, კომუნისტი 1931 წლიდან მიშა ბაბლიძე. რიონჰესში იგი მოვიდა წერა-კითხვის უცოდინარი, დაამთავრა წერა-კითხვის უცოდინარობის და შემდეგ მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა. რიონჰესში მან მიიღო ელექტრო-მონტიორის კვალიფიკაცია. პარტდოკუმენტების შემოწმების დროს ბაბლიძეს ცოტა უჭირდა პოლიტცოდნაში, თვით მუშფაკშიაც კი ზოგ საგანში საჭიროებდა დახმარებას. მან ეს გულახდილად უთხრა ქალაქკომის მდივანს და აი დღეს, პარტბილეთის გამოცვლისათვის მოსული, თამამად ეუბნება ქალაქკომის მდივანს:

— თქვენი მითითება ცალკე საგნებში აკადემიური ჩამორჩენის ლიკვიდაციის შესახებ შევასრულე. წელს მუშფაკს ვამთავრებ, საგნებში კარგები და ფრიადები მაქვს.

ქალაქკომის მდივანი ეკითხება, სად აპირებს ახლა მუშაობის დაწყებას, და ამის შემდეგ ამხ. ბაბლიძეს აძლევს პარტიულ ბილეთს.

შემდეგ ქალაქკომის მდივნის კაბინეტში შედის რკინიგზის მუშფაკის მსმენელი, პარტიის წევრი 1931 წლიდან, ამხ. ნიკოლოზ ლომიძე. ამხ. ლომიძე რიონჰესის მშენებლობის ყოფილი მუშაა. უცოდინარმა რიგითმა მუშამ რიონჰესში გაიარა პირველდაწყებითი სკოლა. დაამთავრა ელექტრო-მონტიორების კურსები და თავისი ენერგიული, მუყაითი მუშაობით ელექტრო-მექანიკოსი გახდა. იგი დაჯილდოვებულია ა. ლ. კ. კ. ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სიგელით რიონჰესის დამთავრების შემდეგ ამხ. ლომიძე შევიდა მუშფაკში და ახლა წარმატებით ამთავრებს მას.

— მუშფაკში მიმდინარე წლის დასაწყისში კომუნისტ მსმენელთა აკადემიური წარმატება 72 პროცენტს უდრიდა. მას შემდეგ კი, რაც თქვენ მოგვეცით მითითება და დაგვეხმარეთ, კომუნისტების აკადემიური წარმატება თვალსაჩინოდ გაიზარდა. მიქაძე, ისაკაძე და სხვები ახლა ფრიადოსნები არიან. აკადემიურმა წარმატებამ მიაღწია 97 პროცენტს, — აცხადებს ამხ. ლომიძე.

შემდეგ ქალაქკომის მდივანთან შედის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ყოფილი ზეინკალი, ამჟამად მუშფაკის მე-4 კურსის მსმენელი, კომუნისტი პავლე ჩოგოვაძე. ის მოუთხრობს ქალაქკომის მდივანს, თუ როგორ გამოასწორა ჩამორჩენა პარტიულ დავალებათა შესრულების ხაზით, როგორ დაეწაფა პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას და ახლა თვითონ როგორ ეხმარება ჩამორჩენილ მსმენელებს. ქალაქკომის მდივანთან მოკლე, შინაარსიანი საუბრის შემდეგ ჩოგოვაძე იღებს ახალ პარტიულ ბილეთს.

ამ დღეს პარტიული ბილეთები მიიღო მუშფაკის 12 მსმენელმა კომუნისტმა. აღსანიშნავია ის ყურადღება და სიფხიზლე, რომელსაც ქალაქკომის მდივანი ამხ. თ. კორსაველი პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს თვითეულ კომუნისტისადმი იჩენს.

დღემდე სარეგისტრაციო სააღრიცხვო ბარათებისა და პარტიული ბილეთების გაფუჭების არცერთი შემთხვევა არ ყოფილა, რაც იმის შედეგია, რომ რეგისტრატორები კარგად არიან ინსტრუქტირებულნი. პარტიული დოკუმენტების გამოცვლა გრძელდება.

ვალ. ლალიაშვილი

◇

აგრონომი ეხმარება სტახანოველებს

სამტრედია. მტს-ის აგრონომი ამხ. გ. გაგუა, რომელიც ემსახურება ტოლების, საჯავახოს, გამოჩინებულისა და [illegible] კოლმეურნეობებს, სტახანოველებს ყოველგვარ დახმარებას უწევს. ამხ. გაგუას ენერგიული მუშაობით ამ კოლმეურნეობებში ჩაის არცერთი მკრეფავი არ დარჩენილა რომ წინასწარ კონსულტაცია არ გაევლო და არ შეესწავლა კრეფის ახალი წესები. ბაბალე მიქამაძე, ოლღა ლორია, ნინო შანიძე, მარო ბოცვაძე, ელენე ტრაპაიძე და ნატაშა ცინცაძე კოლმეურნე — ქალები არიან, რომლებიც აგრონომ გაგუას დახმარებით კრეფის სტახანოველები გახდნენ. ისინი თვალსაჩინო გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს და მუშაობენ ხარისხოვნად.

ლ. კახიანი

„ჩვენ მოგვწონს კანონპროექტი..." ფოტოეტიუდი — ივ. იმედაძისა

თვითდინება მოსავლის აღებისათვის მზადებაში

წელს თელავის რაიონში მარცვლეული კულტურების მოსავალი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს გასულ წელს იყო. მიუხედავად ნესტიანი გაზაფხულისა, ხორბლის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ასევეა ქერი, ფეტვი და სხვა კულტურები.

მთელ რაიონში თავთავიანი კულტურები აღებულ უნდა იქნას 23374 ჰექტარზე. აქედან კოლმეურნეობებში 15154 ჰექტარზე, ერთპიროვნულ მეურნეობებში — 8152 ჰექტარზე. ქერის აღება დაიწყო 20 ივნისიდან. მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება რაიონში უნდა დამთავრდეს 5 აგვისტოს.

წელს თელავის საკოლმეურნეო მინდვრებზე პირველად იმუშავებენ კომბაინები. 4 კომბაინი უკვე მზად არის სამუშაოდ გასასვლელად. კადრები შერჩეული და მომზადებულია.

იმისათვის, რომ ნათლად გამორკვეულიყო, თუ როგორ მოემზადნენ კოლმეურნეობები მოსავლის აღება-დამუშავებისათვის, 17 ივნისს საქ. კ.პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივნის ამხ. ს. კარსანიძის თავმჯდომარეობით გაიმართა რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეების თათბირი.

თვითეული მოხსენება ცხოველ შეკითხვებს იწვევდა. ამხ. ლადო კეველიშვილის (კურდღელაურის „ახალგაზრდობის მე-20 საერთაშორისო დღის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოლმეურნეობა ჯერ კიდევ არ არის მზად მოსავლის აღებისათვის:

— რგოლებად დაყოფილი გაქვთ თუ არა ბრიგადები? — ეკითხება რაიკომის მდივანი ამხ. კარსანიძე ამხ. კეველიშვილს.

— ვერ მოვახერხეთ, რაღაც არ გამოდის...

— რამდენ დღეში აიღებთ მოსავალს?

— ჯერ არ გამოგვიანგარიშებია, ალბათ მალე ავიღებთ (!).

გამოირკვა, რომ კეველიშვილმა არ იცის, რა უნდა გააკეთოს მოსავლის აღების პერიოდში. კოლმეურნეობამ უნდა მიიღოს 16 ათასი ფუთი მარცვლეული, ბინა კი მის დასაბინავებლად არ გააჩნია.

ამხ. შაქრო ბუტულაშვილის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შალაურის კოლმეურნეობაში მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი ჯერაც არ განუხილავთ და არც რაიმე პრაქტიკული ღონისძიებები შეუმუშავებიათ.

— **კარსანიძე:** — რამდენ ჰექტარზე გაქვთ ასაღები მოსავალი?

— **ბუტულაშვილი:** — დაახლოვებით 130 ჰექტარზე.

— **კარსანიძე:** — რამდენი ურემი იმუშავებს ძნების ზიდვაზე?

ბუტულაშვილი: — დაახლოვებით 4-5.

კარსანიძე: — ვინ არიან მეურმეებად გამოყოფილი?

ბუტულაშვილი: — კარგად არ მახსოვს, გამოვყავით კი.

კარსანიძე: — თვითეული ურემი რამდენ გზას გააკეთებს სამკალიდან სალეწამდე?

ბუტულაშვილი: — კარგად არ ვიცი.

გამოირკვა, რომ ბუტულაშვილი სრულებითაც არ არის დაინტერესებული საკოლმეურნეო ცხოვრებით. იგი მეტ დროს თელავში ატარებს და თავისი კოლმეურნეობის წევრებს რიგიანადაც ვერ იცნობს.

კარგი მდგომარეობის ამსახველი ცნობებით ვერც კონდოლის „სოციალიზმის გზა"-ს სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გემაზაშვილი გამოვიდა. ამ კოლმეურნეობას მარცვლეული კულტურები ასაღები აქვს 192 ჰექტარზე. მათ თავისი საშუალებებით შეუძლიათ აიღონ მხოლოდ 90 ჰექტარი, სატრაქტორო სადგურთან კი დადებული არა აქვთ ხელშეკრულება მოსავლის აღებაზე. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა გზააბნეულობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს.

ახმეტის „პირველი მაისის" სახელობის კოლმეურნეობა მოსავლის აღებისათვის მზადებაში ყველაზე სამარცხვინოდ ჩამორჩა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან დადებული არა აქვთ ხელშეკრულება. გამოყოფილი არ არის საკალოე ადგილები.

ასეთივე არანორმალური მდგომარეობაა ჯუღაანის კოლმეურნეობაში ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯიოევმა ისიც კი არ იცის, თუ სამუშაოდ რამდენი მუშა-ხელი გამოვა. დღემდე მოსავლის აღების საკითხი არამცთუ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, გამგეობის სხდომაზეც არ განუხილავთ.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ თელავის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლის აღებისათვის მზადება თვითდინებაზეა მიშვებული. ასეთ მდგომარეობას სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო. წინააღმდეგ შემთხვევაში რაიონი თავს ვერ დააღწევს სერიოზულ დანაკარგებს.

ა. კოკილაშვილი

□ □ □

აწჰესი ვადაზე უნდა ამუშავდეს

აწჰესის მშენებლობა მეტად პასუხსაგებ პერიოდში იმყოფება. ივნისი და ივლისი გადამწყვეტი თვეებია.

აჭარისწყლის ჰიდრო ელსადგური (№ 1-2 ტურბინა, 8 ათასი კილოვატის სიმძლავრისა) და ბათომის ქვესადგური, რომელსაც 7,5 ათასი კილოვატი სიმძლავრე ექნება, მესამე კვარტალში უნდა ამუშავდეს. მეოთხე კვარტალში ექსპლოატაციისათვის მზად უნდა იყოს აწჰეს—სამტრედიის ხაზი — 115 კილომეტრის მანძილზე.

რა მდგომარეობაა ამჟამად აწჰესში? უნდა ითქვას, რომ მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა რთული ტექნიკური ამოცანები გადასწყვიტეს. ამან მშენებლობა სწრაფად წასწია წინ. მშენებლობის ცალკეული ობიექტები დამთავრებას უახლოვდება. პირველი ივნისისათვის მშენებლობის ობიექტების ტექნიკური მზადყოფნა ასეთ სურათს იძლევა. მარცხენა საწნეო გვირაბი (2½ კილომეტრის სიგრძისა) მზად არის 95 პროცენტით, ხოლო წყლის მისაღებად სავსებით მზად იქნება ივნისის დამლევს. წყალმიმყვანი მილი მზადაა 87 პროცენტით, შემათანასწორებელი აუზი—97-ით, სათავე ნაგებობათა პირველი რიგი—65-ით. აწჰეს-ბათომის გადამცემი ხაზის ტექნიკური მზადყოფნა უდრის 84 პროცენტს, ტურბინებისა და გენერატორების მონტაჟი დამთავრებულია.

აწჰესის ხელმძღვანელობა და ინჟინერ-ტექნიკოსები აგვისტოს დასაწყისიდან შეუდგებიან მანქანების, დანადგარებისა და მექანიზმების გამოცდას იმ ანგარიშით, რომ პირველი სამრეწველო დენი მიღებულ იქნას სექტემბრის დასაწყისში.

შეიძლება ითქვას, რომ აწჰესის პირველი რიგის მესამე კვარტალში ამუშავების საკითხი გადაჭრილია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრნა, თითქოს ყველაფერი გაკეთებულია, და საქმე თვითდინებისთვის მიგვენდო. ახლა დიდი მუშაობაა საჭირო, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველვყოთ სადგურის ამუშავება. ივნისის პირველი დეკადა კარგ მაჩვენებლებს იძლევა. მაგრამ უკანასკნელ დროს მშენებლობა ცემენტისა და საარმატურო რკინის სიმცირეს განიცდის, ამით მუშაობა ფერხდება. საშენ მასალათა მომარაგების განყოფილებამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს და მშენებლობა ცემენტითა და რკინით უზრუნველჰყოს. მშენებლობაზე სუსტ უბანს წარმოადგენს კულტმასობრივი მუშაობა და მუშათა კვება.

უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები აწჰესის პირველი რიგის ვადაზე დამთავრებისათვის. აწჰესი მესამე კვარტალში უნდა ამუშავდეს. ეს აწჰესის მშენებელ სტახანოველთა და წარჩინებულთა ღირსებისა და სახელის საქმეა.

ვ. ჩომახიძე.

გეოგრაფიას ცუდად სწავლობენ

საკავშირო სახკომსაბჭოსი და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1934 წ. 16 მაისის სპეციალურ დადგენილებაში დაწყებითსა და საშუალო სკოლებში გეოგრაფიის სწავლების შესახებ გარკვეულად არის ნათქვამი, რომ გეოგრაფიის სწავლება მიმდინარეობს მეტად მშრალად და განყენებულად, სუსტად არის გამოყენებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მასალები, მოსწავლეები ნაკლებად ერკვევიან რუკაზე, გეოგრაფიის სწავლებაში ადგილი აქვს სტატისტიკურ-ეკონომიური მასალებით დატვირთვას და სხვა.

გეოგრაფიის სწავლებაში რომ ეს ნაკლოვანებანი გვაქვს, ამას ადასტურებს თუნდაც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური და გეოლოგიურ-გეოგრაფიული ფაკულტეტების პირველი კურსის სტუდენტთა ყოველწლიური შემოწმება. ამ შემოწმებით ნათლად ირკვევა, რომ სტუდენტების უმრავლესობას მეტად ვიწრო და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის ელემენტარულ საკითხებზე. ზოგი სრულებით არ იცნობს რუკას.

ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ დაწყებითსა და საშუალო სასწავლებლებში სახკომსაბჭოსი და პარტიის ც. კ-ის დადგენილებამდე გეოგრაფიის სწავლებას სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა. შემოწმებამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ გეოგრაფიის ელემენტარულ ცოდნას ზოგი ღებულობს უმთავრესად პოლიტმეცადინეობაზე. მაგრამ ასეთ ცოდნას უფრო სტატისტიკურ-ეკონომიური და პოლიტ-ეკონომიური ხასიათი აქვს. უეჭველია, ასეთი ცოდნა უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, რომ მას გეოგრაფიულ სივრცებრივ წარმოდგენათა ფართო ბაზა ჰქონოდა, ე. ი. გეოგრაფიის შესწავლა ისეთი სისტემატური თანმიმდევრობით ხდებოდეს, როგორც მთავრობისა და პარტიის აღნიშნულ დადგენილებაშია მითითებული.

პირველ კურსზე ახლად შესულ სტუდენტთა გეოგრაფიული მომზადების მეტად დაბალი დონის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტი როდესაც სტუდენტს შევეკითხეთ, თუ რას წარმოადგენს და სად მდებარეობს აფრიკა, მან გვიპასუხა, რომ აფრიკა არის სახელმწიფო და მდებარეობს ინდოეთში. უმრავლესობამ პასუხი ვერ გასცა იმაზე, თუ ქვეყნის რომელ ნაწილში ვცხოვრობთ ჩვენ. იაპონიას ეძებდნენ ევროპაში. ქ. რომს — იაპონიაში, ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ ავსტრიასა და ავსტრალიას, გრენლანდიასა და ირლანდიას. ფაქტია, რომ ერთმა სტუდენტმა პორტუგალიის დედაქალაქად ზესტაფონი დაასახელა (უკარნახეს „ლისაბონი", მაგრამ მან „ზესტაფონი" გაიგონა). როცა ერთ სტუდენტს [illegible] ეჩვენე[illegible] ბინა, მან [illegible] შემოგვხედა და ჩაილაპარაკა: „არგენტინა ხომ [illegible] და აქ რომ არა [illegible]".

დროა ბოლო მოვუღოთ გეოგრაფიის ასეთ უცოდინარობას. უნივერსიტეტში შემსვლელმა უნდა იცოდეს რუკა. რუკის ცოდნა და გაგება ისე არ შეიძლება თუ, შეთვისებული არა გაქვს მასშტაბი, თუ არ იცოდი გრადუსთა ბადეს, თუ არა გაქვს კარტოგრაფიული პროექციის ელემენტარული გაგება. სამწუხაროდ, სტუდენტთა უმრავლესობამ ვერ განსაზღვრა მითითებული პუნქტების (ტფილისის, ვლადივოსტოკის, ლა-როკის კონცხის, სიდნეის და სხვ.) გეოგრაფიული მდებარეობა. რუკაზე ამა თუ იმ პუნქტს წარწერის მიხედვით ეძებდნენ, სივრცებრივი წარმოდგენა მეტად სუსტად ჰქონდათ განვითარებული. ამა თუ იმ ქალაქის მოძებნისას საზღვრად ღებულობდნენ არა მის პუნსონს (გეოგრაფიულ წერტილს), არამედ წარწერას. ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის ნაცვლად ამბობენ: ზევით, ქვევით, მარჯვნივ და სხვ.

ვერც ერთმა სტუდენტმა ვერ ახსნა, თუ რატომ აქვს ქვეყნის ნაწილებს სხვადასხვა რუკაზე სხვადასხვა ფორმა, ან რატომ არის, რომ გლობუსზე ავსტრალია თითქმის სამჯერ მეტია გრენლანდიაზე, ხოლო მერკატორის პროექციის რუკაზე, პირიქით, გრენლანდია ორჯერ მეტია ავსტრალიაზე.

ზოგიერთი ფიქრობდა ეკვატორი ხუთია, პოლუსი კი — ოცდახუთიო. ამავე პირველი კურსის სტუდენტებს მეტად მკრთალი და არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ ბუნებრივ სიმდიდრეთა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა სივრცებრივ განლაგებაზე, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე, კერძოდ, საბჭოთა კავშირში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ-გეოგრაფიული ფაკულტეტის ეკონომიური გეოგრაფიისა და ქვეყანათმცოდნეობის კათედრამ (გამგე პროფ. გ. გეხტმანი) მიზანშეწონილად და დროულად სცნო დასვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე, რათა უნივერსიტეტში შემსვლელთათვის შემოღებულ იქნას გამოცდები გეოგრაფიაშიაც. ასეთი გამოცდები ხელს შეუწყობს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ჩვენი დიადი სამშობლოს სოციალისტური მშენებლობისათვის კიდევ უფრო მაღალკვალიფიციურ და შეგნებულ მუშაკთა გამოშვებას.

გური კვირიკაძე.

◇ ◇ ◇

ღვედის გზა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წყალტუბოს გუდრონირებულ შოსეს რომ გასცდებით, ჩრდილოეთით ახლადგაჭრილი გზა მიემართება, იგი გაივლის ცხუნკურის სას. საბჭოს და აღმართით ბარიტის მადნეულის მთებში, სოფ. ღვედში შედის.

ღვედი ბარიტის უხვი ბუდეა, აქ სამი წლის წინათ გეოლოგებმა აღმოაჩინეს ბარიტის ზოდები, გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ღვედის ბარიტი მაღალი ღირსებისაა და მარაგიც დიდებულია. საქმე მოითხოვდა ბარიტის საბადოების ექსპლოატაციას, მაგრამ მის გამოზიდვას უგზოობა აბრკოლებდა.

მალე დაიწყო ახალი გზის გაყვანა წყალტუბოდან ღვედამდე, 23 კილომეტრის მანძილზე. 1935 წლის დამლევს გზა გაყვანილ იქნა ღვედამდე, მაგრამ მხოლოდ „შავად". ცხუნკურის სას. საბჭომდე გზა ღორღდაყრილი და დატკეპნილ იქნა, ამას იქით დარჩენილ 11 კილომეტრზე შესრულდა მხოლოდ მიწის სამუშაოები. მდგომარეობა ვერ შველოდა საქმეს. ცუდ ამინდში შეუძლებელი იყო ავტომანქანების მოძრაობა მაღაროებში დაგროვილ ბარიტის გამოსაზიდად.

1936 წელს გზის დასამთავრებლად საქ. ბარიტმა გაიღო 500.000 მანეთამდე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქ. ბარიტის დირექცია, და საქ. გზატრანსი ვერ შეთანხმდნენ, თუ ვის გაეყვანა გზა. ამ „შეთანხმებაში" გავიდა პირველი კვარტალი. ბოლოს აპრილის მეორე ნახევარში, როგორც იქნა, საქ. გზატრანსი შეუდგა მუშაობას, მაგრამ სუსტი ტემპით. ცხადია, ასეთ პირობებში ბარიტის გამოზიდვა საფრთხის წინაშე იდგა. ასე გრძელდებოდა 10 მაისამდე.

მას შემდეგ, რაც საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-მა გზის მშენებლობის დამთავრების ვადად 16 ივნისი მიიღო, მშენებლობის ტემპი გაცხოველდა, ამას ხელი შეუწყო საქ. კ.პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის უშუალოდ ჩარევამ საქმეში.

ამჟამად გზის მშენებლობაზე მუშაობს 80-დე ქვის (ღორღის) მტეხელი, 3 საბარგო ავტომანქანა 3 გზის მტკეპნელი მანქანა მუშებისათვის (400-დე მუშა მუშაობს) არ არის შექმნილი ჯეროვანი საყოფაცხოვრებო პირობები. მაგალითად, 29 მაისს ქვისმტეხელ მუშებს მთელ დღეს არ ჰქონდათ მიღებული პური, ცხელ საუზმეზე, ან კულტმომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ძძილეთის, ვილავერის და სხვათა კოლმეურნეობათა გამგეობებს დავალებული აქვთ ჭარბი მუშახელის სამუშაოზე გამოყვანა, მაგრამ ვინაიდან მარგვლა-მორდის სამუშაოები უკვე დაიწყო, მუშები ძალიან ცოტანი გამოდიან. ამას ერთვის გზაზე მუშაობის ცუდი პირობებიც.

ამჟამად ღვედის მაღაროებში დაგროვილია 10.000 ტონამდე ბარიტი. მეორე და მესამე კვარტალში ბარიტის დირექციამ უნდა უზრუნველყოს დაგროვილი ბარიტის გამოზიდვა,

საჭიროა საქ. გზატრანსმა ოპერატიულად მოჰკიდოს ხელი გზის მშენებლობას.

ვ. ლ.

◇ ◇ ◇

გამოუქვეყნებელ წერილების კვალდაკვალ

„უნდა დაისაჯოს"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი გვატყობინებდა, სოფ. სვერის (ჭიათურის რ.) მეწისქვილე ვანო იაკობიძე კოლმეურნეებს სიმინდის დაფქვაში სისტემატურად ზედმეტ [illegible] ახდევინებს და დასაფქვავი ხორბლეულის ნაწილს თვითონვე ითვისებსო.

ჭიათურის რაიმიწგანის გამგემ **კ. გოგოლაშვილმა,** რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვაცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. **ვანო იაკობიძე მოხსნილია სამუშაოდან და პასუხისგებაშია მიცემული.**

ბოლშევიკური აგიტაციის გაშლისათვის

ვ. მახარაძე

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის კულტპროპაგანდის განყოფილების გამგე.

აგიტაცია — მძლავრი იარაღია პარტიის ხელში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. ბოლშევიკური აგიტაცია ხელს უწყობს პარტიის პოლიტიკის სწორად გატარებას ქალაქად და სოფლად. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბოლშევიკურ აგიტაციას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მას დიდი სტალინი, მთელი ჩვენი პარტია. ამიტომაცაა, რომ ამ საქმეს მაგრად მოჰკიდა ხელი საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომმა.

უკვე მეორე თვეა, რაც ჩამოყალიბდა აგიტკოლექტივები. ისინი არსებობენ საინსტრუქტორო ზონების მიხედვით (ლანჩხუთი, სუფსა, აცანა, ჩოხათი) და მათ უშუალოდ ხელმძღვანელობენ რაიკომის ინსტრუქტორები.

რაიონში სულ ხუთი აგიტკოლექტივია, რომელიც 58 აგიტატორს აერთიანებს. ყველა გამოყოფილია პირველადი პარტორგანიზაციების მიერ და მუშაობენ კოლმეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში, რაიონის სხვა წარმოება — დაწესებულებებში, სამქროებსა, ცვლებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში.

მიუხედავად იმისა, რომ აგიტატორები სულ ცოტა ხანია, რაც ორგანიზებული წესით მუშაობენ, მათ მაინც ბევრი რამ გააკეთეს, ისინი თვეში ორჯერ იკრიბებიან და მართავენ თათბირებს, სადაც აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები (იგივე ზონის ინსტრუქტორები) აჯამებენ თვითეული აგიტატორის მიერ ჩატარებულ მუშაობას და არკვევენ მომავალი მუშაობის ამოცანებს. ამ თათბირებზე პერიოდიულად იკითხება თეორიული ხასიათის მოხსენებებიც, რათა ამაღლებულ იქნას აგიტატორთა თეორიული მომზადების დონე.

ამგვარი წესით მუშაობამ საშუალება მოგვცა საჭირო გაქანება მიგვეცა ბოლშევიკური აგიტაციისათვის. არა მარტო ახლო-მახლო კოლმეურნეობებსა და წარმოებებში, არამედ შორეულ სოფლებშიც ჩვენ შევძელით გაგვეშალა მასობრივი მუშაობა.

ამჟამად თითქმის ყველა კოლმეურნეობაში გვყავს აგიტატორი. ამ უკანასკნელთ შემოკრებილი ჰყავთ გაზეთის ხმამაღლა მკითხველები, რომლებიც მიმაგრებული არიან ცალკეულ საწარმოო ბრიგადებზე.

აგიტატორი სისტემატურად აძლევს დავალებებს მკითხველებს, ხოლო უკანასკნელები მიდიან ბრიგადებში, იქ, სადაც კოლმეურნეები მუშაობენ, და უკითხავენ პარტიისა და ხელისუფლების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, უცხოეთის ამბებს, ჩვენს ნაკლსა და მიღწევებს.

აი აგიტატორი ამხ. დიმიტრი ღლონტი. მან მაისიდან 15 ივნისამდე 21-მდე საუბარი ჩაატარა როგორც პარტიისა და ხელისუფლების მნიშვნელოვანი დადგენილებების, ისე უცხოეთის ამბების შესახებ. ამხ. ღლონტი კოლმეურნეა, კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობს, სტახანოველის სახელს ატარებს, საუბრებს ის მეტად მოხდენილად და მიმზიდველად აწყობს.

ამხ. ღლონტს არც აგიტატორი ამხ. ამბროსი ჩხაიძე ჩამორჩება. იგი სოფ. ტაბანათის ამხ. ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. სისტემატურად ატარებს საუბრებს პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებებზე, ხელმძღვანელობს კითხვისა და საველე გაზეთების გამოცემის საქმეს. ამას გარდა მან ამ რამდენიმე დღის წინად მოაწყო კოლმეურნეთა კოლექტიური დასწრება კინო-სურათზე. აღრიცხა წერა-კითხვის უცოდინარები და მიამაგრა მასწავლებლებს.

კარგად მუშაობენ აგიტატორები ამხ. ივ. ორაგველიძე (მტს-ი), ვაშაკიძე (მჭედლეთა არტელი), იოსებ გოგუაძე (ზედა შუხუთის კოლმეურნეობა), ქრ. მანწკავა და სხვ.

აგიტატორმა ქალმა ამხ. ლუბა ქინქლაძემ (აცანის ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაცია) კოლმეურნეებს წაუკითხა მხატვრული წიგნები, ორჯერ მოაწყო კინო-სურათზე კოლექტიური დასწრება. ამხ. ნინო ტუსკია (აცანის ჩაის ფაბრიკა) განსაკუთრებულ მუშაობას აწარმოებს მუშაობის სტახანოვური მეთოდის დანერგვისათვის.

მაგრამ ყველამ როდი გაიგო ბოლშევიკური აგიტაციის დედააზრი, ყველა როდი ამართლებს აგიტატორის დიდ როლს. არიან აგიტატორები, რომლებიც კუდში მისჩანჩალებენ მოწინავეებს, მაგალითად, ამხ. ვიქტორ პატარაია (ქალაქის უბნის კოლმეურნეობა) დღემდე ერთი საუბარიც არ ჩაუტარებია. კინოზე, მხატვრული ლიტერატურის კითხვაზე და სხვა მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამხ. შათირიშვილი (ქვედა შუხუთი) არ ესწრება აგიტატორთა ზონალურ თათბირებს. ამხ. დ. კიტიას კი (სუფსის ტუნგოს მეურნეობა) დღემდე არ უზრუნია მკითხველთა კადრის შემოკრებაზე. არ ჩაუტარებია მუშაობის აღრიცხვა და, რაც მნიშვნელოვანია არ იბრძვის თავისი იდეური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

ამხანაგებს ალბათ ჰგონიათ, რომ აგიტატორობა ყველას შეუძლია. არა, აგიტატორი უნდა სწავლობდეს, იგი უნდა ეუფლებოდეს სააგიტაციო საქმის ტექნიკას, მის ხელოვნებას, რათა აგიტაცია იყოს ცხოველი, წარმტაცი, კონკრეტული, პოლიტიკურად გამახვილებული, გულწრფელი და მართალი.

საჭიროა აგიტატორები არა მარტო ესწრებოდნენ აგიტატორთა თათბირებს, არამედ დაუღალავად მუშაობდნენ თავიანთ თავზე, ყოველდღიურად ზრუნავდნენ საკუთარი ცოდნის ამაღლებისათვის.

ამ მხრივ მათ რაიკომი საჭირო დახმარებას უწევს: სისტემატურად ვაძლევთ მითითებებს, თუ რა საკითხებს მიაქციონ ყურადღება. რაიკომს განზრახვა აქვს ახლო ხანში მოიწვიოს აგიტატორთა რაიონული შეკრება, რომელზეც ღრმად და მთელი სერიოზულობით იქნება დასახული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დაწყებულია პროპაგანდისა და აგიტაციის სახლის მშენებლობა რაც მალე დამთავრდება. სახლი ყოველდღე ცოცხალ მეთოდურ დახმარებას გაუწევს როგორც პროპაგანდისტებს, ისე აგიტატორებს.

საჭიროა რაიკომის ინსტრუქტორებმა, რომლებიც აგიტატორთა კოლექტივებს უშუალოდ ხელმძღვანელობენ, უკეთესად იმუშაონ აგიტატორებთან, დაეხმარონ მათ მუშაობაში, რომ ყველა მათგანი ნამდვილად დაეუფლოს სააგიტაციო მუშაობის ხელოვნებას, მის ტექნიკას. პარტორგანიზატორები ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ აგიტატორს სააგიტაციო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა: უკეთ ვუხელმძღვანელოთ აგიტატორს, დავეხმაროთ მას, ავამაღლოთ აგიტატორის პასუხისმგებლობა, რათა მან უკეთესად შეასრულოს დიდი და საპატიო პარტიული საქმე — ბოლშევიკური აგიტაცია.

არ ვარგა აგიტატორი, რომელიც მშრალი, მომაბეზრებელი სიტყვებით აწარმოებს აგიტაციას, მან უსათუოდ უნდა გამოიყენოს მხატვრული ლიტერატურა, კინო, თეატრი, რადიო და სხვ. ამის პირველი მაგალითი ჩვენ უკვე გვიჩვენეს აგიტატორებმა ქინქლაძემ, ჩხაიძემ და სხვებმა. საჭიროა მათ სხვებმაც მიბაძონ.

ამასთან აგიტატორი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ კოლმეურნეობის ან წარმოების გეგმების შესრულებას, სადაც ის მუშაობს. საწარმოო გეგმის ჩამორჩენისას პირველი სიგნალის მიმცემი და მასების ორგანიზატორი აგიტატორი უნდა იყოს.

ჩვენ გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აგიტატორებმა პირველებმა ასტეხეს განგაში ჩაის კრეფის საქმეში, შეისწავლეს ჩამორჩენის მიზეზები და დარაზმეს მასები გარღვევების ლიკვიდაციისათვის.

საქმე ის არის, რომ აგიტატორებმა ამ მხრივ მეტი გააკეთონ. აგიტატორი რევოლუციური სიფხიზლით უნდა იყოს აღჭურვილი, ერკვეოდეს ქვეყნის ცხოვრების რთულ საკითხებში, სწავლობდეს პარტიის პოლიტიკას, მის განვლილ ბრძოლებს. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ აგიტატორის თვითეული სიტყვა „ღვთისასავით ვარდებოდეს" ხოლო მასები მას უჯერონდნენ.

◆

მკითხველის დასახმარებლად

მონტრეს კონფერენცია და სრუტეების საკითხი

22 ივნისს მონტრეში (შვეიცარია) გაიხსნა კონფერენცია სრუტეთა რეჟიმის საკითხზე. საერთო სახელს „სრუტეებს" ჩვეულებრივ უწოდებენ ბოსფორს, მარმარილოს ზღვასა და დარდანელს. სრუტეები—ეს ერთადერთი საზღვაო გზა, რომელიც შავსა და ხმელთაშუა ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებს, — ძველთაგანვე (15 საუკუნიდან დაწყებული) იპყრობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას. სრუტეთა რეჟიმის საკითხი შეადგენდა მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებათა საგანს.

1914-1918 წლების ომამდე სრუტეები უცხოეთის სამხედრო გემებისათვის დახურულად ითვლებოდნენ (თუმცა თურქეთის სულთანს უფლება ჰქონდა ნება დაერთო მსუბუქი სამხედრო გემების გაშვება). თურქეთის მთავრობას ფორმალურად უფლება ჰქონდა გაემაგრებინა სრუტეების ზონა. ასეთი მდგომარეობა აიხსნებოდა იმით, რომ ინგლისი, რომელიც დაინტერესებული იყო არ დაეშვა რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტი ხმელთა შუა ზღვაში, მხარს უჭერდა თურქეთს.

სხვა მდგომარეობა შეიქმნა ომის შემდეგ თურქეთის დამარცხების შედეგად. სრუტეთა ფაქტიური ბატონ-პატრონები გახდნენ ანტანტის სახელმწიფოთა საოკუპაციო ხელისუფალნი. მუდროსის დროებითი ზავი, რომელიც ოტომანთა იმპერიამ ანტანტის სახელმწიფოებთან 1918 წლის ოქტომბერს დადო, პირველ პუნქტში ითვალისწინებდა „დარდანელისა და ბოსფორის გახსნას და თავისუფალ შესვლას (მოკავშირეთა სამხედრო გემებისათვის) შავ-ზღვაში", აგრეთვე „დარდანელისა და ბოსფორის ფორტების სამხედრო ოკუპაციას მოკავშირეთა მიერ".

1920 წელს ხელმოწერილმა სევრის ხელშეკრულებამ მხოლოდ განამტკიცა ეს მდგომარეობა. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი (37), რომელიც სრუტეთა საკითხს ეხება, ამბობს:

„ნაოსნობა სრუტეებში, რომლებიც შეიცავენ დარდანელს, მარმარილოს ზღვასა და ბოსფორს, ამიერიდან ღია იქნება მშვიდობიანი და ომიანობის დროს ყველა სავაჭრო თუ სამხედრო გემისათვის და სამხედრო და სავაჭრო საჰაერო გემებისათვის, ბაირაღის განურჩევლად"...

1922 წელს, ნაციონალურ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვების შედეგად, თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა აიძულებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს დაიწყონ მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების შესახებ მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ლოზანის კონფერენციაზე, რომელიც 1922 წლის 20 ნოემბერს გაიხსნა, თურქეთი აღწევს მთელ რიგ დათმობებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხრივ. მაგრამ სრუტეთა საკითხში თურქეთის დელეგაციამ, რომელსაც სურდა ანტანტასთან შეთანხმებისათვის მიეღწია, მოხსნა მთელი რიგი თავისი მოთხოვნები. საბოლოო ანგარიშით ლოზანის ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ბრიტანეთის პროექტი (ინგლისის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა, რომ სრუტეებში თავისუფლად გაეშვათ არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო გემებიც და რომ გატარებული ყოფილიყო განსაზღვრული ზონების დემილიტარიზაცია სრუტეების რაიონში).

სრუტეების შესახებ კონფერენციის მიერ შემუშავებულ კონვენციას ხელი მოაწერეს თურქეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ბულგარეთმა, საბერძნეთმა, რუმინეთმა, სამხრეთ-სლავიამ; სსრ კავშირი შეუერთდა კონვენციას, მაგრამ არ მოუხდენია მისი რატიფიკაცია.

ლოზანის კონვენცია სრუტეების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1922 წლის 24 ივლისს, შეიცავს შემდეგ მთავარ დებულებებს:

„1. სავაჭრო და სამხედრო გემებს თავისუფალი გავლა სრუტეებში როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს, მოწინააღმდეგის გემების გამოკლებით, თუ თურქეთი მეომარი მხარეა; ამასთან ის მაქსიმალური ძალები, რომლებიც რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია გაატაროს მშვიდობიან დროს სრუტეებში შავი ზღვის მიმართულებით, არ უნდა აღემატებოდეს შავიზღვის სახელმწიფოთა ყველაზე ძლიერ ფლოტს, მაგრამ ომიანობის დროს, თუ თურქეთი ნეიტრალურია, ეს შეზღუდვა არ იქნება გამოყენებული მეომარი სახელმწიფოების მიმართ, „მათი, როგორიც შავ ზღვაზე მეომართა უფლებების ხაზიანად". 2. ბოსფორისა და დარდანელის საერთო ნაპირთა განსაზღვრული ზონების, მარმარილოს ზღვის ყველა კუნძულის დემილიტარიზაცია, გარდა ემირალის კუნძულისა და ეგეს ზღვის მთელი რიგი კუნძულებისა; დემილიტარიზებულ ზონებში აკრძალულია აიგონ სიმაგრენი, იქონიონ მუდმივი საარტილერიო დანადგარნი, საზღვაო სამხედრო ბაზები და სხვა, აგრეთვე იყოლიონ შეიარაღებული ძალები, გარდა პოლიციისა და ჟანდარმერიისა; სტამბოლსა და მის მიდამოებში სამხედრო გარნიზონი არ უნდა აღემატებოდეს 12 ათას კაცს; 3. სრუტეთა რეჟიმის სამეთვალყურეოდ იქმნება მუდმივი კომისია კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან".

ამა წლის 11 აპრილს თურქეთის მთავრობამ ნოტით მიმართა ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ სრუტეების შესახებ ლოზანის კონვენციის ხელმოწერაში. ამ ნოტაში თურქეთის მთავრობა წინადადებას აძლევდა სრუტეების კონვენციის განხილვაში მონაწილე სახელმწიფოებს — დაეწყოთ მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ მოკლე ვადაში მიღწეული ყოფილიყო შეთანხმების დადება სრუტეების რეჟიმის შესახებ;

თურქეთის მთავრობა თავის წინადადებას ასაბუთებდა იმით, რომ ლოზანის კონფერენციის დროიდან შეიცვალა საერთაშორისო ვითარება, რომელიც ომის საფრთხეს შეიცავს და თურქეთის უშიშროების განმტკიცებას დაჟინებით მოითხოვს;

იმ სახელმწიფოთა ყველა მთავრობამ, რომლებსაც თურქეთმა მიმართა, თანხმობა განაცხადეს მოლაპარაკების დაწყებაზე. იტალიის მთავრობამ, როცა იგი დათანხმდა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, განაცხადა, მონტრეს კონფერენციაზე მხოლოდ იმ პირობით გამოცხადდება, თუ აბისინიის საკითხს გადასწყვეტენ.

სსრ კავშირის წარმომადგენლად მონტრეს კონფერენციაზე არის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მ. მ. ლიტვინოვი.

(„პრავდა").

ამხ. პოტიომკინმა ინახულა დელბოსი

პარიზი, 25 ივნისი. სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პოტიომკინი დაბრუნდა შვებულებიდან პარიზში და გუშინ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი დელბოსი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. (ადს)

◇ ◇ ◇

საფრანგეთ-პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა

ვარშავა, 24 ივნისი. პოლონეთის მიერ საფრანგეთ-პოლონეთის 1924 წლის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით „პრესის" სააგენტო შემდეგს იუწყება: ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომ 10 ივლისიდან გაუქმებულ იქნას ყველა საბაჟო შეღავათი, რომელიც აქამდე მოქმედებდა ამ ხელშეკრულების საფუძველზე პოლონეთში შემოსატან ფრანგული საქონლის მიმართ. (ადს)

◇ ◇ ◇

პოლონეთის პრემიერის განცხადება სენატში

ვარშავა, 24 ივნისი. დღეს სენატში პრემიერმა სლავოი-სკლადკოვსკიმ, როდესაც ითხოვდა მთავრობისათვის განსაკუთრებულ რწმუნებათა დამტკიცებას, განაცხადა:

„ვთხოვ მაღალ პალატას მხედველობაში მიიღოს ამასთანავე, რომ მთავრობის მეთაურის პოსტზე დანიშნული ვარ ბატონ რესპუბლიკის პრეზიდენტისა და გენერალი რიძ-სმიგლის ბრძანებით". (ადს).

◇ ◇

იტალია-გერმანიის დაახლოვება

პარიზი, 25 ივნისი. პრესას იტალიის ავიაციის ხელმძღვანელის გენერალ ვალეს ბერლინს ჩასვლა მიაჩნია იტალია-გერმანიის დაახლოვების ახალ ძლიერ განმტკიცებად. ზოგი გაზეთი იმასაც კი ლაპარაკობს, რომ შესაძლებელია დაიდოს იტალია-გერმანიის საჰაერო პაქტი (ადს).

ვენა. 25 ივნისი. გერმანელ ფაშისტებთან ახლომდგომი „ვინერ ნეისტე ნახრიხტენი" ბერლინიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ გენერალ ვალეს ჩასვლის მიზანია მოამზადოს იტალია-გერმანიის საჰაერო შეთანხმების დადება (ადს).

◇

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დაარსება

მოსკოვი, 21 ივნისი. რათა დაკმაყოფილდეს მშრომელთა თანდათან მზარდი მოთხოვნილებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში, მოწესრიგდეს ფიზიკური აღზრდის სისტემა, გაძლიერდეს სახელმწიფო კონტროლი და ხელმძღვანელობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე, — საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს მოეწყოს საკავშირო სახკომსაბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტი. საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებული ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო გაუქმებულია.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტს ევალება ხელმძღვანელობა გაუწიოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთელ საქმეს საბჭოთა კავშირში, უხელმძღვანელოს და კონტროლი გაუწიოს ფიზკულტურის კადრების მომზადებას და განაწილებას, სასპორტო ნაგებობათა გამოყენებას (სტადიონები, კლუბები, მოედნები, აუზები და სხვ.) და სხვადასხვა სასპორტო ინვენტარის განაწილებას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარესთან დაარსებულია საბჭო, რომელშიაც შედიან პროფესიული კავშირების, საკ. ალკკ-ის, სასპორტო და ნებაყოფლობითი საზოგადოებების და მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფიზკულტურული და სასპორტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელმძღვანელოდ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან, სამხარეო და საოლქო აღმასკომებთან, და საჭიროების მიხედვით, საქალაქო საბჭოებთან და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტები. ფიზიკური კულტურის არსებული საბჭოები გაუქმებულია.

ფიზიკური კულტურის და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ივანე ივანეს-ძე **ხარჩენკო**.

ჟურნალებს გვიკარგავენ

1935 წ. მაისს ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტებმა 6 თვით გამოვიწერეთ ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის", მაგრამ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ნომერი მივიღეთ; ზოგიერთ ჯგუფს (მაგ. № 19) სულაც არ მიუღია.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფორგი ამხ. ბეშკენაძე გვეუბნება: როცა მივიღებთ ჟურნალს, დაგირიგებთო. მაგრამ როდის იქნება ეს? ხელმომწერთა შორის ბევრია მეოთხე კურსის სტუდენტი, ისინი მალე დაამთავრებენ ინსტიტუტს.

საჭიროა ჟურნალის ნომრები არ დაგვეკარგოს. ისიც უნდა გამოირკვეს, თუ აქამდე რატომ არ ვღებულობდით ჟურნალს.

მიშა ჯიქურიძე.

სურათზე: მეჩონგურეთა გუნდი

ძველი გურული სიმღერების ჩაწერა ფირფიტებზე

მეთექვსმეტე წელია, რაც არსებობს გურულ მომღერალთა გუნდი ამხ. **ვარლამ სიმონიშვილის** ხელმძღვანელობით. გუნდს, რომელიც პირველად 1921 წელს ჩამოყალიბდა, მრავალი ძველი გურული სიმღერა აქვს შეგროვილი და შესწავლილი. დამუშავებული აქვს აგრეთვე თანამედროვე 30 სიმღერები.

გუნდი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა და რამდენჯერმე არის დაჯილდოვებული. 1927 წელს განათლების სახალხო კომისარიატის მიწვევით მან რამდენიმე საჩვენებელი კონცერტი გამართა მოსკოვში. 1929 წელს გამართულ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველი ჯილდო ერგო, ხალხური შემოქმედების ა-კ ოლიმპიადაზე კი—პირველი ხარისხის სიგელი. შარშან ამ გუნდმა მონაწილეობა მიიღო საკავშირო ცაკის სესიის მოწვევასთან დაკავშირებით მოსკოვში გამართულ წითელ არმიელთა მხატვრულ საღამოზე. აქაც დააჯილდოვეს გუნდი სხვადასხვა საჩუქრით.

გუნდში საუკეთესო მომღერლები აღიზარდნენ. ისინი არა მარტო მღერიან თვითონ, არამედ ხელმძღვანელობენ და ასწავლიან სხვებსაც. მათი თაოსნობით ჩამოყალიბდნენ მომღერალთა გუნდები გურიის სხვადასხვა კოლმეურნეობაში და აგრეთვე მაღალიეწრის ჩაის ფაბრიკასთან, ჩაის საცდელ - სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტში, მახარაძის ჩაის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში, ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში და სხვაგან. გუნდმა იკისრა ვალდებულება სექტემბრამდე მახარაძის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ჩამოაყალიბოს მომღერალთა გუნდები და უზრუნველყოს ისინი გამოცდილი ხელმძღვანელებით.

ხელოვნების მთავარსამმართველოს მოწვევით ეს გუნდი ამჟამად ტფილისში იმყოფება და ახდენს ძველი გურული სიმღერების გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერას. მოსკოვიდან ამ საქმეზე მოვლენილი ბრიგადის შერჩევით უკვე ჩაწერილია **„ხასანბეგურა"**, **„იერიში"**, **„ბურთის გამარჯვება"**, **„შვიდკაცა"**, **„ხელხვავი"**, **„ვახტანგური"**, **„ალიფაშა"**, **„ნადური"**, **„შავო შაშვო"**, და სახუმარო **„მარტო ვზივარ მოწყენილი"**.

გუნდთან ჩამოყალიბებულია აგრეთვე მეჩონგურეთა ანსამბლი 25 ქალ-ვაჟის შემადგენლობით, რომელიც საუკეთესოდ ასრულებს ხალხურ სიმღერებს ჩონგურზე.

◇◇

ა. აკოფიანის საღამო

25 ივნისს, საქ. საბჭოთა მწერლების სასახლეში გაიმართა პოეტ აკოფ აკოფიანის დაბადებიდან 70 წლის შესრულების აღსანიშნავი სალიტერატურო საღამო.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა ამხ. სანდრო ეულმა, საღამოს გახსნისას თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა:

— აკოფ აკოფიანი უდიდესი პროლეტარული პოეტია ამიერ-კავკასიაში. მან პირველმა უმღერა რევოლუციურ მუშათა კლასს, მის გმირულ ბრძოლებს, უმღერა მთელი პოეტური გულწრფელობით და პათოსით. მის ლექსებში პირველად გაისმა ახალი „სამოქალაქო მოტივები". ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ნაციონალისტურად განწყობილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ბურჟუაზიული მწერლობა მისტიროდა სომხეთის „წარსულ დიდებას", ნაციონალისტური ლაყბობის საფარველით ფაქტიურად ნიადაგს განუმტკიცებდა რუსეთის იმპერიალიზმს ამიერ-კავკასიაში. აკოფიანის პროლეტარული პოეზია განუყოფელია ტფილისის პროლეტარიატის წარსულ რევოლუციურ ბრძოლებთან. ა. აკოფიანმა, თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები ტფილისში გაატარა. ამიტომ არის ის საქართველოს სახალხო პოეტიც. მას ახლა 70 წელი შეუსრულდა, ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე, ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

მოხსენება ა. აკოფიანის შემოქმედების შესახებ გააკეთა სომეხმა მწერალმა ატრიანმა, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა მწერლის ბიოგრაფიის დამახასიათებელი მომენტები და ძირითადი მხატვრული ნაწარმოებნი.

ა. აკოფიანის შემოქმედების შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. გაფრინდაშვილი, პეტროსიანი, ქართველი მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე.

აკოფიანისადმი მიძღვნილ საკუთარი ლექსი წაიკითხა გ. ქუჩიშვილმა.

ა. აკოფიანის ლექსების ქართული თარგმნები წაიკითხეს პოეტებმა: ვ. გაფრინდაშვილმა, ვ. გორგაძემ, ს. თავაძემ ე. გაჩეჩილაძემ და სანდრო ეულმა.

ა. აკოფიანის ლექსები სომხურ ენაზე წაიკითხეს სომხური აკადემიური დრამის მსახიობებმა: მელიქიანმა, გ. მირაქიანმა და ტ. მალქიანმა.

დასასრულ სომხურმა აკადემიურმა გუნდმა ა. ტერ-იოანესიანის ხელმძღვანელობით შეასრულა სომხური სიმღერები.

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ახალი სასწავლო წლის შესახვედრად მზადების შესახებ. განათლების რაიგანყოფილებებს წინადადება აქვთ მიცემული, სასკოლო შენობების რემონტი დაამთავრონ 15 აგვისტომდე. ლენინის რაიონში ამ დროისათვის უნდა შეკეთდეს 9 სასკოლო შენობა, სტალინის რაიონში—11, ორჯონიკიძისაში—15 შენობა, 26 კომისრის სახელობის რაიონში—13, ხოლო ტფილისის განათლების განყოფილებამ — 5 სასკოლო შენობა.

ტფილისის და რაიონულ განათლების განყოფილებებს წინადადება აქვთ მიცემული სკოლების ძველი ინვენტარის შესაცვლელად დაამზადონ 2682 ცალი პარტა, 250 სასკოლო დაფა, 152 შკაფი და 2610 სკამი. რაიონულ განათლების განყოფილებებს და სკოლების დირექტორებს დავალებული აქვთ თავიანთ სამოქმედო უბნებში მოახდინონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერა იმ ვარაუდით, რომ შემოდგომიდან სასკოლო ასაკის არცერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ.

სკოლების დაკომპლექტება, განცხადებათა მიღება და მათი განხილვა 25 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს. ამ ვადამდე კი განათლების განყოფილებებმა უნდა მოაწყონ მასწავლებელთა მეთოდიური კონფერენციები, შეადგინონ სასწავლო გეგმები და სხვ.

განათლების რაიგანყოფილებებსა და სკოლების დირექტორებს შორის გამოცხადებულია შეჯიბრება ახალი სასწავლო წლისათვის უკეთ მომზადებაზე. შეჯიბრების ხელმძღვანელად და მისი შედეგების შესამოწმებლად გამოყოფილია კომისია ამხ. კ. ქაცარავას—თავმჯდომარეობით. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები. ორი ხუთას-ხუთას მანეთიანი და ორიც, სამას-სამას მანეთიანი ჯილდო მიეცემათ სკოლების დირექტორებს. 600 მანეთიანი პრემია მიეცემა იმ რაიონის განათლების განყოფილების გამგეს, სადაც სასწავლო წლისათვის უკეთ მოემზადებიან. გარდა ამისა, საუკეთესო სკოლას, რომელიც ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში დაწინაურდება, მიეცემა გარდამავალი დროშა.

◇ ◇

ქინაქინის მცენარეები

ბათომის ბოტანიკურმა ბაღმა ვეგეტაციური გზით მიიღო ქინაქინის 20 ათასი მცენარე. 5 ათასი მცენარე საწარმოო ცდის მიზნით გადაეცა გაგრის საბჭოთა მეურნეობა „მე-3 ინტერნაციონალს", 5.500 დარგულია ბაღის ტერიტორიის ღია გრუნტში. დანარჩენი ჯერჯერობით სათბურებშია მოთავსებული.

მთავრდება სპეციალური ორანჟერიის მშენებლობა ქინაქინის მცენარის მოსაშენებლად.

□ □ □

გასწორება

ვასწორებთ ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს შეცდომებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 ივნისის დადგენილების გადმოცემაში. ქვემოთ მოყვანილი ადგილები დადგენილებისა უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის შესახებ, რომელიც ჩვენი გაზეთის 26 ივნისის ნომერში დაიბეჭდა, უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

კარი II მუხლი ჟ:

„იმ არსებული პრაქტიკის გასაუქმებლად, რომლის დროსაც სტუდენტები გადატვირთული არიან სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით (40 საათამდე ექვსდღიურში), შემცირდეს იმ სავალდებულო მეცადინეობათა საათების რაოდენობა, რომლებიც მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ტარდება, და 1936—1937 სასწავლო წლიდან დაწესდეს სასწავლო საათების შემდეგი რაოდენობა ექვსდღიურში: I და II კურსებზე—არა უმეტეს 30 საათისა, III და IV კურსებზე—არა უმეტეს 24 საათისა, V კურსზე—არა უმეტეს 18 საათისა"... და სხვ.

იმავე მუხლის მე-8 აბზაცი:

„დაწესდეს აკადემიური საათის ხანგრძლივობა 45—50 წუთის რაოდენობით, და დასვენება მეცადინეობათა შორის 10—15 წუთი".

კარი III მუხლი I პუნქტი ბ) მეორე აბზაცი:

„სასწავლო პროცესის ორგანიზაციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას",... და სხვ.

○

ვასწორებთ ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მიერ დაშვებულ შეცდომას. „საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საფრანგეთის მთავრობის დეკლარაციაში", დაბეჭდილია: „მთავრობა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს პრევენტიულ საჭიროობას და წარმოების კონტროლის დაწესებას". უნდა იყოს: „იარაღის წარმოებაზე კონტროლის დაწესებას" და სხვა.

სასამართლო

პირუტყვნი პედაგოგების სამოსელში

კარგა ხანია ოცდამეორე სკოლის დირექტორმა **გრიგოლ ვაშაკიძემ** თავისი სკოლის ფრიადოსან მოწაფეებს რ. ჯ-ს და რ. კ-ს ბინძური თვალი დაადგა.

გაზაფხულმა ფრთა გაშალა, [illegible] ემა, სამურმა; ადამიანთ ლამაზი გრძნობა გაუღვიძა... ვაშაკიძის გულში კი გველთაყაყა დაიბუდა. დირექტორობა, ნამუსი, ადამიანობა გვერდზე გადასდო და დიდიხნის მერიდალი წადილის შესასრულებლად გულისხადები იმავე სკოლის პიონერ-ხელმძღვანელს **მიხეილ ებრალიძეს** გაანდო.

ფერი ფერსაო-ნათქვამია. ეს ახალგაზრდაც ზნეობრივი გათახსირებით ვაშაკიძეს არ ჩამოუვარდებოდა. მოეწონათ ერთმანეთის აზრი, ხელიხელს დაჰკრეს, დაიწყეს გეგმების დალაგება და მათი მოჭაზრება...

ებრალიძემ თვალში ამოღებული გოგონები დასვენებაზე დაიბარა და გააფრთხილა — საღამოს პოლიტმეცადინეობა გაქვთ, რვა საათისათვის დაუგვიანებლივ გამოცხადდითო!

— საქმე გაირბულია, ორივენი აქ მოვლენ!—ახარა ებრალიძემ „დირექტორს".— აბა, ახლა სამზადისს შევუდგეთ!.. გაიკრეს ჯიბეზე ხელი, „გასტრონომში" შეიარეს. ლიქიორები, ტკბილეულობა, საუზმეულობა იყიდეს და სულწასულები საღამოს ელოდნენ.

დაბარებულ ბავშვებს სკოლაში არავინ დაუხვდათ...

— რა ვქნა, დაგვიბარეს და რატომ არ მოვიდნენ! — სწუხდნენ. მაგრამ გამობრუნებისას ვაშაკიძეს შეხვდნენ.

— მასწავლებელო, სამეცადინოდ დაგვიბარეს და არავინ კი არ მოსულა!—შესჩივლეს მას.

— ეგ არაფერია, რა უყოთ მერე! — [illegible] მახლობლებულ ბავშვებს უკმაყოფილებს. — წამოდით ებრალიძესთან. იქ იქნებიან ამ საღამოს ჩვენი მოწაფეები და მასწავლებლები, სალიტერატურო საღამო უნდა გავმართოთ.

გოგონები მოულოდნელობით გაოცდნენ. ბინაზე სალიტერატურო საღამო? მაგრამ მოდი და დირექტორს ნუ დაუჯერებ. წასვლაზე კი მაინც უარი განაცხადეს. ვაშაკიძემ ეს იწყინა და შეუტია—რას ყოყმანობთ, წამოდით, ერთ საათში გამობრუნდებითო.

წაიყვანა ბავშვები დირექტორმა. ებრალიძე ამ დროს სტუმრების მოლოდინში მაგიდას აწყობდა.

— სად არიან დანარჩენი მოწაფეები, მასწავლებლები? — აკი სალიტერატურო საღამო გვაქვსო?

— ახლავე მოვლენ, რას ჩქარობთ? თუ შინ მშობლები გეტყვიან რამეს, უთხარით: ფიზიკის მასწავლებელ კობრეიძის ქალთან ვიყავით — თქო, დაარიგა „ჭკუა" დირექტორმა. ბავშვები მაინც ცალზე ისხდნენ, შინ მიიწევდნენ.

აქ კი განრისხდა დირექტორი. — აბა, გაფრთხილდით, შავი ატესტატი არ წაიღოთ სკოლიდანაო, აუყვირდა „უწიფარ" ბავშვებს. ამასობაში მასპინძელი ებრალიძე ჯარისკაცით დატრიალდა, თვალის დახამხამებაზე ყველაფერი მზად იყო და გრძნობაგამხიარულებელი სასმელით საგონებელში ჩავარდნილი გოგონები მიიწვია.. შემოუსხდნენ „ვეკავალერებიც" მაგიდას, ჩარაკრაკდა ჭიქებში ლიქიორი...

— დალიეთ, დალიეთ! აძალებდნენ „მასწავლებლები" პატარა სტუმრებს. — ტკბილია, ნუ გეშინიათ!

გათახსირებულთა ენი საზღვარს სცილდება. — რას მიქვიან მორიდება და დისციპლინა, ყველაფერი ეს სკოლაშიაც კმარა—ფიქრობს ვაშაკიძე.

მოძალადეებმა ბავშვები ლიქიორით გამოათვრეს. სასმელმა მათ გრძნობა დაუკარგა, რეტი დაასხა—სწუხდნენ, ბორგავდნენ... „მასწავლებლებსაც" ეს უნდოდათ. ვაჰ, მათმა ფანდმა! ახლა კი მიაღწიეს მიზანს. აღვირახსნილმა ვაშაკიძემ მოულოდნელად ოთახში სინათლე ჩააქრო და ორივენი მძვინვარე ალკოჰოლისაგან გაბრუებულ ბავშვებს დაერივნენ...

გოგონების იმ ღამით შინ მიუსვლელობამ მშობელთა უსაზღვრო წუხილი და შიში გამოიწვია. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მთელი ტფილისი შესძრეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მხოლოდ დილის 6 საათზე [illegible] ბავშვებმა [illegible] თავიანთი უბედურება [illegible] მასწავლებლებს, [illegible] მოყვეს.

[illegible] სკოლაში [illegible] მიხრბოდა. მასწავლებლები რომ შეეკითხნენ, ურცხვად უარი სტკიცა:

— რას ამბობთ, რა მექეიფებოდა, ალბათ, ებრალიძის ამბავი იქნება! ხოლო როცა ებრალიძეც მივიდა სკოლაში, ვაშაკიძემ გაიხმო და უთხრა: აბა, შენ წადი, გაიპარე ტფილისიდან, საქმეს მე მოვაგვარებო. თან სამგზავრო ფულიც გადასცა და საჩქაროდ გაისტუმრა.

ყოველნაირად სცადა ვაშაკიძემ დანაშაულის თავიდან აცილება: ჯერ თვითონ ცდილობდა შეურაცხყოფილ ბავშვთა „დამუშავებას", მერე ამავე სკოლის მასწავლებელი მარგო წილოსანი მიუგზავნა მუდმივად და დაიბარა: სულ ერთია, ვაშაკიძეს ვერას დააკლებთ, იგი დიდი კაცია, გავლენიანი, ნაცნობებიც ბევრი ჰყავს, ყველაფერს გარიგება სჯობიაო. მარგო წილოსანი სინიდისმა არ შეაწუხა, სახიფათო შუამავლის სათაკილო, სამარცხვინო როლი იკისრა და ამით დანაშაულებრივად ხელი შეუწყო იშვიათი ბოროტმოქმედების მიჩქმალვას.

მაგრამ ვერც ზნედაცემულმა მჭერმეტყველებამ გასჭრა და ვერც პედაგოგიურმა „რჩევა-დარიგებამ".

უღირს მასწავლებლებს, გაბოროტებულთ და ზნედაცემულთ, ახლო ხანში უზენაესი სასამართლო გაასამართლებს. შრომისა და ორდენოსანი ქვეყნის ჩირქმომცხებლებს საბჭოთა მართლმსაჯულება ღირსეულს მიუზღავს.

გვწამს ეს, მაგრამ ვაშაკიძის პიროვნების სურათის დასამთავრებლად ორიოდე სიტყვას კიდევ დავურთავთ: ვაშაკიძე თაღლითი, კომბინატორი, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელი, ყალბი საბუთების მკეთებელი აღმოჩნდა. მან ოცდამეორე სკოლის შენობა მოსამზადებელ კურსებს მიაქირავა საღამოს მეცადინეობისათვის და მიღებულ ქირას სისტემატურად ითვისებდა, ბევრ მოწაფეს სკოლის გადასახადს ართმევდა და უქვითროდ ისტუმრებდა. მიისაკუთრა სკოლის პიანინო. 23 აპრილს რუსთაველის თეატრში ვითომდა სკოლის სასარგებლოდ გამართულ კონცერტზე შემოსული თანხებიც ასწაპნა. შეადგინა ყალბი საბუთი და ცნობა, ვითომ მისი ცოლი სტაჟიანი მასწავლებელი იყოს, ნამდვილად კი მან მასწავლებლობისა არა გაეგება რა. ამ საბუთის თანახმად ვაშაკიძის მეუღლე ყოველგვარი პრივილეგიით სარგებლობდა.

ვაშაკიძემ 1932 წელს თავის ძმას მოჰპარა პარტიული ბილეთი და კულაკობა-გაიძვერობით შემდგომი ორგანოები შეცდომაში შეიყვანა. მოიპარა აგრეთვე ცაკის წევრობის ბილეთი და ნიშანი, რომლითაც გამაპარტავნებული გულმკერდს იმშვენებდა, „მტერს თვალს უბრმავებდა". —„ზაკენერგოს" საფ. - საქარხნო სკოლის დირექტორად ყოფნის დროს, სადაც, როგორც გაირკვეულია, ყალბი საბუთებით მოეწყო, ახალგაზრდა კომკავშირელ მოწაფე გოგონებს სწავლისა, ზნეობრივი და მორალური განვითარების ნაცვლად [illegible] უნიშნავდა, რყვნიდა, ათახსირებდა, მოლიპულ გზაზე აყენებდა. ამან გამოიწვია გოგონების სკოლიდან სისტემატური გაქცევა. ასეთი საქციელისათვის ვაშაკიძე 1933 წელს პასუხისგებაში მისცეს და გაასამართლეს კიდეც. სასჯელიც მიიღო, მაგრამ ვაშაკიძის ბუნებას განა რამე გამოასწორებდა?

სამწუხაროდ, იგი კვლავ ახერხებს სკოლაში შეპარვას, თავის უზნეო აღვირახსნილობას ფრთებს ასხამს და ბოლოს მცირეწლოვან ბავშვს, სკოლის მოწაფეს ბილწავს!

ასეთი ზნეობრივი გათახსირების ნიმუშები—ვაშაკიძე და ებრალიძე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე. სახალხო განათლების ორგანოები კი, ვფიქრობთ, მტკიცე გაკვეთილს მიიღებენ იმისას, თუ რა სიფხიზლეა საჭირო მუშაკების შერჩევის დროს ისეთი სათუთი, სპეტაკი და პასუხსაგები საქმისათვის, როგორიც არის სოციალისტური ბედნიერი თაობის აღზრდა.

მერი ბურდული.

ქ რ ო ნ ი კ ა

— **„გველისმჭამელის" ხალხური ვარიანტი.** ექ. გ. თევდორაძემ ხევსურეთში ჩაიწერა „გველის მჭამელის" ხალხური ვარიანტი. თქმულებას მიაწერენ ისტორიულად ცნობილ პიროვნებას ხოგაის მინდიას. ხალხური „გველისმჭამელი" დღემდე ცნობილი არ ყოფილა. პოემა დაიბეჭდება გ. თევდორაძის წიგნში: „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", რომელსაც წელს გამოსცემს „ფედერაცია".

— **დღეს საღამოს 7 ს.** შედგება რუსთაველის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომა (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი). მოხსენებას წაიკითხავს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ალ. ჩაველიშვილი თემაზე: „მხატვრული ინდივიდუალიზაციის საკითხები". შესვლა თავისუფალია.

დღეს, 27 ივნისს, საღამოს 8 საათზე კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში (ლენინის ქუჩა № 41) პროპაგანდისტებისა და პარტიულ მუშაკთა აქტივისათვის შედგება მოხსენება შემდეგ თემაზე: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და ამიერ-კავკასიის ფედერაცია".

საკინემატოგრაფო თეატრები		
	ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. მხატვრ. კომედია „მარიონეტები"
	დამკვრელი საზ.-საზამ. 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენობაში ხმოვანი ფილმი „ცირკი" საზამთრო შენობაში ხმ. ფილმი „ჯულბარსი"
	კომკავშირელი საზ საზამ 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფრანგული ფილმი „უკანასკნელი მილიარდერი"
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ცირკი" ბილეთების წინ: სწარი შეძენა კინო „ეთერის" სალაროში 12—5 საათამდე.
	საზაფხ. ეთერი 9 ს. 11 საათ.	
	26 კომუნ. სახ.	საზაფხ.—ხმოვ. ფილმი „კონდუიტი" საზამთ—ხმოვანი კომედია „ერთ ზაფხულს"
	კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი სურათი „უკანასკნელი ბანაკი"
	ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.	1) საგანგებო გამოშვება „ა. მ. გორკის ხსოვნას", 2) ნორჩი ტალანტები, 3) ხმოვ. ჟურნ. № 5.

ქუთ. გაერთ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი ა. წერეთელი
ამით აცხადებს, რომ ის 1 ივლისს დღის 2 საათზე ქალაქ ქუთაისში ფოთის ქუჩაზე № 35-ში

მეორედ საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ქუთ. საბინაო კოოპერაციის მშენებლობის ხერხის ქარხნის შემდეგ მოწყობილობას: ერთ შიდაწვის ძრავს 35 ცხენის ძალიანს მისი ყოველივე მოწყობილობით, შეფასებულს 5.000 მანეთად. ერთ თუჯის დაზგას ხეტყის სახერხი მისი მოწყობილობით, შეფ. 4.000 მ., 314 ცალს მრგვალ ხერხს თითოს 70 მ. შეფ. 1500 მ., ერთ ფარდულს 25×10 მ., აშენებულს ქვისა და აგურისას, გადახურულს კრამიტით, შეფ. 7.000 მ., ერთ ხარს, კამეჩს და სახერხი ქარხნის სხვადასხვა მოწყობილობას, სულ შეფასებულს 19.000 მან. საქ. საბინაო კავშირის ხეტყის ქარხნისა და ვალიკო ჯიშკარიანის ძიების უზრუნველსაყოფად. თანახმად საქ. არბიტრაჟის ბრძანებისა № 3/989 35 წლ. 21 სექტ. და ქუთ. სასამართლოს 1936 წ. 19 აპრ. № 1039 აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეული ფასებიდან.

ქუთ. გაერთ. სას. აღმასრულებელი
15094 წ ე რ ე თ ე ლ ი.

სამტრედიის არტელ „მხერხავისა" და „წითელი ყუთის" სალიკვიდაციო კომისია ამით აცხადებს, რომ 1 ივლისს 12 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ორ სახერხ ქარხანას თავის მოწყობილობით: ლოკომობილი ინგლ. სისტ. 15 ც. ძ. შინაწვის ძრავი 45 ც. ძ. სახერხ დაზგებს სხვადასხვა ზომისას, ყაზარმებს, საწყობებს და სხვა მოწყობილობებს.

ლიკვიდკომის მისამართი: სამტრედია „წითელი ყუთის" კანტორა.
15096 ლიკვიდკომი.

სკოლის ასაკამდე აღზრდის კოოპერაცია
ამით აცხადებს, რომ ქობულეთის ბავშვთა დასასვენებელი სახლი იხსნება ა/წ. 1 აგვისტოდან.
გაცემული საგზურები ივლისის თვისა გადატანილია აგვისტოს თვეზე.
15097 პრეზიდიუმი.

ტფილისის სატყეო ტექნიკური ტექნიკუმი
აცხადებს მსმენელების მიღებას
1936-37 სასწავლო წლისათვის
პირველ კურსებზე შემდეგი განხრებით:
1. ტყის დამზადების მექანიზაციის ტექნიკოსები—60 კაცი.
2. ტყის მშრალი ტრანსპორტის ტექნიკოსები—30 კაცი.
3. სატყეო მეურნეობის ტექნიკოსები . . . —60 კაცი.
ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
ა) 7-წლედის დამთავრების მოწმობა;
ბ) პასპორტი;
გ) მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ;
დ) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.
პირველ კურსებზე მიღებულ მსმენელთა 50 პროც. უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებელი ბინით და 65 პროც. სტიპენდიით. ტექნიკუმში იქნება სასადილო.
განცხადებების მიღება იწარმოებს ა-წ. 20 ივნისიდან 15 აგვისტომდე სატყეო ტექნიკუმის კანცელარიაში, დღის 9 საათიდან 1-ლ საათამდე, კამოს ქ. № 18.
მისაღები გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოდან და გაგრძელდება 1 სექტემბრამდე.
გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:
1. დედაენა და ლიტერატურა (წერა-ზეპირი);
2. მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია (წერა-ზეპირი);
3. ფიზიკა;
4. ისტორია;
მეცადინეობა ყველა ჯგუფში დაიწყება 1 სექტემბერს.
622 დირექტორი ნუცუბიძე.

თანახმად „გლავორსის" განკარგულებისა № 206, 31 მაისიდან და განკარგულება № 91, 25 ივნისის
კიროვის სახელობის ქარხნის „ორსი" № 20-ს პირველი ივლისიდან სწყვეტს ყველა სავაჭრო ოპერაციას.
დაწესებულებებს, რომლებსაც აქვთ რამე პრეტენზია, მოვალენი არიან განაცხადონ 1936 წლის 3 ივლისამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ იქნება მიღებული.
15093 ლიკვიდკომი.

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72.

მეორე ლეგიონის უფროსთა შემადგენლობა და მეთაურთა ცოლები ლიგამაშვილი, ინთიძე, ქ. თავაძე, ჩირაძე, ლომთაძე, რუხაძე, ჩიჩუა, ჰობონელიძე, ბითაძე, ორაგველიძე, ყაჭეიშვილი, იაშვილი, არახამია, გაბელია, ლალაძე, გრიგოლაშვილი, ნიჟარაძე, წილოსანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან
აგრაფინა ჯანჯღავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მეღე სენაკში. 15101

ზუგდიდის დამცველთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს თავისი ხელმძღვანელის
ერასტო პავლეს-ძე როდონაიას
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში. 15095

დამწუხრებული და მარად გულდაკოდილნი: დედა ანინა, ძმა გრიგოლ, რძალი როზა კაკუნძები იუწყებიან, რომ 30 ივნისს 5 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ზულხარა სანიკიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 15098

შვილები: გერასიმე, ვასილ, სევასტი, რძლები: ვერა, აგრაფინა თამარ შვილებით: გრიშა, შოთა, ბუცა, კარლო იუწყებიან საყვარელი დედის
მენიკო ხაბუმიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა მარტვილის რაიონში, სალიავო, 28 ივნისს. 15099

ღრმად დამწუხრებული ძმა ბაგრატ, რძალი ვერა, ძმისწულები: თამარ, სერგოლა, შალვა გოგიბავები იუწყებიან ძვირფას დაუვიწყარ
დიანოს მაქსიმეს-ძე გოგიბავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ივნისს სოფ. უშაფათში, სენაკის რაიონში. 15086

ცენტრალური და რაიონული პათოლოგიური ლაბორატორიის ადმინისტრაცია ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებულ თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ლაბორატორიის თანამშრომელ ბაბო კვინიკაძეს მისი დის
თ ა მ ა რ ი ს
უდროოდ დაკარგვის გამო. 15077

გულდამწვარი შვილები: ვეფხვია, ფორთო, ვარლო, მარიამ, თამარ ენუქი, რძლები: ნუცა, ლილო, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან დედის
მინადორა ივანეს-ასულ ბუზუშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა აბაშაეწერში 28 ივნისს. 15089

ქმარი ივანე, შვილები: გიორგი, ნინო, სონა, მარო, ირაკლი, შალვა, რძლები: სირინოზ, ასია ელისაბედაშვილები, სიძეები: იაშვილი, ქართველიშვილი, იუწყებიან
ოლღა ესტატეს-ასულ ელისაბედაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, წითელქალაქში. 15091

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 8453